პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და ყარაულთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მომწერთ თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მ. ტნით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

184 შაბათი, 12 აგვისტო 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 12 აგვისტო 1922 წ. № 184

განაჩენი რევოლუციის

ამა წლის რვა ივნისს მოსკოვში დაწყებული პროცესი ესერებისა გაგრძელდა სწორედ სრული ორი თვე. ორი თვის განმავლობაში დაძაბული ყურადღებით და ინტერესით ადევნებდენ თვალყურს პროცესის მსვლელობას როგორც რუსეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი, ისე სხვა საზოგადოებრივი წრეებიც.

ძირითადად განსხვავდებოდა, რა თქმა უნდა, დამოკიდებულება ამ პროცესისადმი რევოლუციონურ პროლეტარიატის ერთი მხრივ, ბურჟუაზიის და ყველა მათთან მყოფ ჯგუფების მეორე მხრივ.

მსოფლიოში მომქმედი ის სოციალური ჯგუფები, და მათ შორის შემთანხმებელი პარტიის ხელმძღვანელები, რომელნიც არსებითად დგანან ბურჟუაზიულ წყობილების ნიადაგზე, რაც არ უნდა დასჯდომოდათ, იმ თავითვე ცდილობდნენ ესერების გამართლებას.

ამ შემთხვევაში მათი მთავარი გამოსავალი თვალსაზრისი, რა სიტყვებით და მოსაზრებებითაც არ ცდილობდნენ ამის დაფარვას, იყო რევოლუციის წინააღმდეგ ყოველ-სახის ბრძოლის დაშვების და კანონიერების აღიარება.

რუსეთის მუშათა კლასმა ისტორიაში ჯერ გაუგონარი „თავხედობა" გამოიჩინა. იგი აჯანყდა მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ, დაამხო მათი ბატონობა და თავისი ძალა-უფლება დაამყარა. ცხადია, ბურჟუაზიულ-კლასობრივი თვალსაზრისით მან უდიდესი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა, რისთვისაც ღირსია, მისი მტრების აზრით, ყოველგვარი სასჯელის.

ასეთი „თავხედობისათვის" ბურჟუაზია სასტიკად გაუსწორდა ამ ორმოცდა ათიოდე წლის წინად პარიზის კომუნარებს; ამისათვის სისხლში ჩაახრჩო მან უნგრეთის პროლეტარიატი, ამისათვისვე იგი შეუპოვრებელ ბრძოლას აწარმოებს მსოფლიო მუშათა კლასის წინააღმდეგ. ბურჟუაზია უფრო მეტი გაფთრებით შეეცადა „ჭკუა ესწავლებინა" რუსეთის გამარჯვებული მშრომელებისათვის და გაენადგურებინა ისინი.

და ამ ბრძოლაში რუსეთის რევოლუციის და პროლეტარიატის წინააღმდეგ ავანგარდის უმადური როლი ითამაშა ე. წ. სოციალისტ-რევოლუციონერებმა ის უკანასკნელებმა, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, ყველაზე მედგრად იმსახურებოდნენ ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს, და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მსოფლიო ბურჟუაზიამ მათ დასაცავად მობილიზაცია უყო ყველა თავის ძალებს. და აღნიშნულ მიზნისათვის პირველ რიგში მან ბრძოლის ველზე გამოახტუნა თავისი აგენტები—ყვითელ ინტერნაციონალის მეთაურები.

მაგრამ მრავალთვიანმა პროცესმა ცხადყო, რომ ასეთი მდგომარეობა, როცა პროლეტარიატი საბრალმდებლო სკამზე სვამს თავის მოსისხლე მტრებს და ასამართლებს,—არანორმალურად და მიუღებლად მიაჩნია არა მარტო ექსპლოატატორთა კლასს, არამედ იმ პირებსაც, რომლებიც თავს მუშათა კლასის ხელმძღვანელად და მისი ინტერესების მატარებლად მოაქვთ. იმის მაგიერად, რომ ისინი არსებითად საქმის და ფაქტიური მასალის განხილვას და შემოწმებას შესდგომოდნენ, რისთვისაც სრული საშუალება მიეცათ, მათ მოაწყვეს ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლის გამართვა, საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარიატის დიქტატურის გამოცდა მსოფლიოს მუშათა კლასის თვალში და ამით საერთაშორისო რეაქციის განმტკიცება.

სულ სხვაგვარი იყო პროცესისადმი მიდგომა რევოლუციონური მუშათა კლასის და საბჭოთა ხელისუფლებისა.

რუსეთის მშრომელებმა ოთხწლიანი მძიმე ბრძოლის გამოვლით მოიპოვეს გამარჯვება და შექმნეს თავიანთი სახელმწიფო, საბჭოთა სახელმწიფო. და მათ სრულიად ბუნებრივად და მიზან შეწონილად ჩათვალეს გასამართლება იმ პირების, რომელნიც ოთხი წლის განმავლობაში განურჩეველი საშუალებით და იარაღით ხელში იბრძოდნენ რევოლუციის მონაპოვართა ლიკვიდაციისათვის და ახლაც ფიქრობენ სამოქალაქო ომის კოცონი დაანთონ და ხელი შეუშალონ მშრომელებს მოყენებული ჭრილობები განიკურნონ და ჩაიბან დნენ მშვიდობიან ცხოვრების აღმშენებლობაში. ამის უეჭველობელი უფლება აქვს რუსეთის მუშათა კლასს, რომელმაც ჩამოაყალიბა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და შექმნა თავისი კანონები. თავისთავად ცხადია, რომ ყველა იმ ელემენტებს, რომელნიც იარაღით ხელში ილაშქრებენ ამ სახელმწიფოებრივობის და კანონების წინააღმდეგ, საბჭოთა მართლმსაჯულება შესაფერ პასუხს მოსთხოვს.

ესერები სწორედ ასეთი ელემენტებია. ეს თავიანთ ზურგზე გამოსცადეს რუსეთის მუშებმა და გლეხებმა.

ესერების პარტიის მოღალატური როლი მუშათა კლასის მიმართ იმ თავითვე ცხადი იყო, მაგრამ ამ უკანასკნელს მისი გასამართლება ერთბაშად არ მოუწყვია. საბჭოთა სახელმწიფოში შეკავშირებულმა პროლეტარიატმა მოისურვა ესერების გასამართლება სწორედ თავის სასამართლოს და კანონების საშუალებით. ამიტომაც იყო, რომ ასე ბევრ ხანს გაგრძელდა ესერების პროცესი, რომელზედაც დაწვრილებით ირკვეოდა ამ პარტიის როლი რევოლუციაში, ესერების კონკრეტული მოქმედებანი მთელი რევოლუციის ხნის განმავლობაში დღე-დღე, თითეული ბრალდებულის დანაშაულობის ხარისხი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო, უტყუარი მასალების მიხედვით, ბრალდებულთა ბოროტმოქმედების სწორი კვალიფიკაცია და სამართლიანი განაჩენის გამოტანა.

ეს მუშაობა დასრულდა.

სასამართლომ უეჭველად გამოარკვია ესერების კონტრ რევოლუციონური როლი რუსეთის რევოლუციაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ **ესერები ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და ხელს უწყობდნენ რუსეთის დამონებას საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ და ამ მიზნით: კავშირი ქონდათ ადგილობრივ თეთრგვარდიელ ორგანიზაციებთან, უცხოელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან და ასრულებდნენ მათი ჯაშუშის და მზვერავის როლს, აჯანყებდნენ მასებს, იარაღით იბრძოდნენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, კლავდნენ რევოლუციის ბელადებს, ანგრევდნენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას და სხ.**

ამ ფაქტების მიხედვით უზენაესმა ტრიბუნალმა გამოიტანა შესაფერი განაჩენი. ჩვენი მკითხველი ქვევით გაეცნობა ამ განაჩენს და ც. ა. კ.-ის დადგენილებას ბრალდებულ ესერების შესახებ.

ფრიად საყურადღებოა ის ორივე დოკუმენტი. დანაშაულობის მიხედვით, ტრიბუნალმა ბრალდებულებს სხვა და სხვა სახის სასჯელი გამოუტანა. ესერების ხელმძღვანელებს და იმათ ვისაც ყველაზე მეტი მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი სასამართლომ უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა გადაუწყვიტა.

ამასთან, როგორც ვიცით, ბრალდებულნი ორ კატეგორიად იყვნენ დაყოფილნი—ერთი ჯგუფი, რომელიც იმთავითვე მონანიების გზაზე შედგა, აღიარა თავისი დანაშაულობანი და აღთქმა დადო, რომ შემდეგში მთელი ძალღონით იმსახურებს რევოლუციის საქმეს, და მეორე ჯგუფი, რომელმაც გამოიჩინა თავისი გაუსწორებლობა და შეურიგებლობა.

ტრიბუნალმა პირველი ჯგუფის შესახებ, რომელსაც წარსული მოქმედებისათვის არსებული კანონების ძალით ეკუთვნის დახვრეტა, აღძრა შუამდგომლობა უმაღლესი ხელისუფლების წინაშე მათი განთავისუფლების შესახებ დადებულ სასჯელისაგან.

ც. ა. კ. ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა, ხოლო გაუსწორებელ ბრალდებულების მიმართ სასამართლოს დადგენილება დაამტკიცა, მაგრამ მისი ასრულება შეაჩერა.

დიდი კმაყოფილებით შეხვდება რუსეთის და მთელი მსოფლიოს რევოლუციონური მუშა-კლასი, როგორც ტრიბუნალის, ისე ც. ა. კომიტეტის დადგენილებას.

ჩვენ მივაქცევთ მშრომელ მასის ყურადღებას ამ დადგენილების რამოდენიმე მომენტზე.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტრიბუნალმა გამოიჩინა სრული მიუდგომლობა და დაიცვა არსებული კანონების ძალა და ღირსება. დამტკიცებული ბოროტ-მოქმედებისათვის მან მიუსაჯა დამნაშავეთ ის სასჯელი, რომელიც გათვალისწინებულია რევოლუციონურ კანონებში.

მეორე მხრივ სასამართლომ ნათელ ყო, რომ საბჭოთა მართლმსაჯულება არ ისახავს შურისძიების მიზნებს და პატიებას ითხოვს იმ პირებისათვის, რომელთაც გულწრფელად მოინანიეს თავიანთი შეცოდებანი, არ არიან სოციალურად საშიში და მზად არიან გამოისყიდონ თავიანთი დანაშაული თავდადებული მუშაობით მშრომელ ხალხის სასარგებლოდ.

ამ მხრივ უფრო საყურადღებოა უმაღლეს ხელისუფლების დადგენილება მეორე ჯგუფის მიმართ განაჩენის შესრულების შეჩერების შესახებ.

აქ სავსებით აშკარავდება, რომ საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ ხელმძღვანელობს შურისძიების მოტივებით, ამასთან ყველთვის აქვს მხედველობაში საერთაშორისო რევოლუციის მიზნები. ც. ა. კ.—ის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ის იღებს რა მხედველობაში ჩამორჩენილ, ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატიის მიერ მოტყუებულ მსოფლიო მუშათა კლასის წრეების არსებობას და ისახავს რა მიზნად ამ შემთხვევაში მისცეს მშრომლებს თვალსაჩინო გაკვეთილი რევოლუციონური მოქმედებისა,—ადგენს აღნიშნულ ჯგუფის მიმართ ტრიბუნალის განაჩენი დამტკიცდეს, მაგრამ მისი ასრულება შეჩერებულ იქნას.

მსოფლიო მუშათა კლასი ამ დადგენილებიდან შესაფერ დასკვნას გამოიყვანს, ის გაერკვევა საბჭოთა ხელისუფლების შინაარსსა და მიზნებში; ის მიხვდება, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სრულებით არ „სწყურია სისხლი", ის მხოლოდ იცავს რევოლუციას თავდასხმისაგან. ეს დადგენილება ნიადაგს გამოაცლის ბურჟუაზიას და სოციალ-გამცემლებს, რომელნიც ატყუებდნენ მუშა-კლასს საბჭოთა ხელისუფლებაზე ათასნაირი ჭორების გამოგონებით მისი სიმხეცის, სისასტიკის და შურისძიების შესახებ. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოთა რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობა იმდენად მტკიცეა, რომ არ მოითხოვს ისეთ უკიდურეს ზომების მიღებას, როგორიცაა სიკვდილით დასჯა.

ხოლო თუ პროლეტარიატის მტრები და კერძოდ ესერები ისევ გააგრძელებენ თავიანთ მოღალატურ მოქმედებას, დეე იცოდენ მათ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა არ დაინდობს. მხოლოდ მათ დააწვებათ მთელი პასუხისმგებლობა განსაკუთრებულ ზომებისათვის, რომლებსაც იძულებული იქნება მიმართოს მან, თუ მოწინააღმდეგენი ბოროტად გამოიყენებენ პროლეტარიატის ხელისუფლების მშვიდობის მოყვარეობას და სულგრძელობას და კვლავ შეეცდებიან ძველი ისტორიის განმეორებას. მათ ეს უნ და ახსოვდეთ. ეს უნდა გაითვალისწინოს მსოფლიოს მუშათა კლასმაც.

ანტანტის დაშლის მოლოდინში

(ლონდონის კონფერენციის გამო)

გაზ. „პტი პარიზიენ" ის ცნობით, ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ პუანკარეს მიერ დაჭერილი პოზიციის გამო, ანტანტის დაშლა მოსალოდნელია და შეიძლება აუცილებელიც".

რადიო ბორდოდან.

რაც დრო მიდის, მით უფრო აშკარავდება გამანადგურებელი მნიშვნელობა ვერსალის ზავისა არა მარტო დამარცხებული გერმანიისთვის, არამედ ევროპისა და თვით მსოფლიო მეურნეობისათვისაც. მან დაარღვია ცენტრალური სახელმწიფოები და ასეთივე შედეგებით იმოქმედა დანარჩენ ქვეყნებზედაც მისი საშინელი ცხოვრებაში გატარება. გარდა ამისა ერთი მეორის მტრადაპირდა ანტანტის კოალიციის უმთავრეს წევრებს: ინგლისს და საფრანგეთს. მის საბოლოო შესრულებაში ეჭვი შეიტანა მის ავტორებს და ასე გასინჯეთ [illegible] პუანკარემაც, რომელმაც განაცხადა, რომ „ვერსალის ხელშეკრულება ჰკარგავს ავტორიტეტს". ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც ჩაქსოვილია დღეის ევროპის ბედ-იღბლის გამგე იმპერიალისტური ჯგუფების სოციალურ ბუნებაში, უფრო და უფრო აშკარა ხდება ვერსალის ხელშეკრულების გატარებასთან დაკავშირებულ კითხვებში და ლონდონის კონფერენცია, რომელზეც შეკრებილი არიან გამარჯვებული კოალიციის სახელმწიფოები, გადაქცეულია დღეის ამ წინააღმდეგობის დემონსტრაციის ასპარეზათ. დამოკიდებულება ამ სახელმწიფოთა შორის იღებს იმდენად შეურიგებლობის ხასიათს, რომ ლოიდ-ჯორჯი თითქმის აუცილებლად სთვლის ანტანტის დაშლას. წყარო ამ უკანასკნელი ცნობის, ბორდოს (საფრანგეთი) რადიო, იმდენად დაინტერესებულია წინააღმდეგში, რომ საეჭვოა ეჭვი შევიტანოთ ამ ცნობის სიმართლეში.

მსოფლიო ომმა, რომელსაც საფუძვლათ ედო ერთი მთავარი მიზანთაგანი თუ არა უმთავრესი: განადგურება დიდი ბრიტანეთის კონკურენტის, გერმანიის ეკონომიური ძლიერების, მიაღწია მიზანს სავსებით. უდიდესი მილიტარისტული სახელმწიფო მთელ ქვეყნიერებაზე და ინდუსტრიალურათ ყველაზე უფრო განვითარებული ევროპის კონტინენტზე დღეის აღარ არსებობს. მაგრამ ომის შემდეგ შექმნილ პირობებში და ვერსალის ხელშეკრულების შედეგათ ევროპაში წამოიჭრა ახალი ძალა, რომელიც იჩემებს ჰეგემონიას კონტინენტზე, ეს არის საფრანგეთი. ამ მდგომარეობას ვერ ურიგდება „ცბიერი ალბიონი" და ჩვენ მოწმენი ვხდებით მათ შორის შეხლა შემოხლის. გარდა ამისა ევროპის მეურნეობის შეუჩერებლათ მიმდინარე რღვევა, რომლის ერთი მიზეზთაგანია ამ მეურნეობის სისტემიდან ისეთი ძლიერი ერთეულის ფაქტიურათ გამოკლება, როგორიც არის გერმანია, უფრო საგრძნობი ხდება ინდუსტრიალურათ განვითარებული ინგლისისათვის ვინემ ამ მხრით ჩამორჩენილი საფრანგეთისათვის. ამას უნდა მივმატოთ ისიც, რომ შექმნილი შინაური მდგომარეობის გამო მოსალოდნელი გადატრიალება გერმანიაში, რომელსაც შედეგათ მოჰყვება სახელმწიფოს ძალაუფლების გადახრა მარცხნივ, პროლეტარიატისკენ, უფრო საგრძნობი იქნება ინგლისისათვის, როგორც მრავალრიცხოვანი შეკავშირებული მუშათა კლასის ქვეყნისთვის, სადაც ეკონომიური პოლიტიკური კრიზისი მძვინვარებს. ამ მომენტს ვერ უხვევს ინგლისის ბურჟუაზია. ლოიდ-ჯორჯის პირით მან განაცხადა კვირა უზენაესი საბჭოს სხდომაზე კანაში, რომ გადატრიალება გერმანიაში, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ვერსალის ზავის პირობებით და საფრანგეთის შეურიგებლობით შექმნილი შინაური კრიზისი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ქვეყნის, მისი ხალხის ინტერესების გამო, იქნება უფრო სახიფათო ხასიათის მთელი მსოფლიოსათვის, ვინემ არის მთელი რუსეთის რევოლუციისა. ცხადია ამის შემდეგ ის „ზომიერება", რომელსაც იჩენს ინგლისის გაბატონებული კლასი დამარცხებულ გერმანიასთან დამოკიდებულების საკითხში და სხვათა შორის ამ მოსაზრებით იყენებს ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვისათვის წარმოებული კამპანია, რომელსაც ადგილი აქვს კუნძულზე.

ასეთია საერთო შინაარსი ორი ქვეყნის შორის ჩამოვარდნილი წინააღმდეგობის, რომლისაც სახეში გვაქვს ევროპის საქმეები და კონკრეტულად დღეს გერმანიის საკითხი. ეს საკითხი დღეს [illegible] მათ, ლონდონში შეკრებილთ ანტანტის სხვა წევრებთან ერთად.

თუ კიდევ საჭირო იყო იმპერიალიზმის და კერძოთ გამარჯვებული საფრანგეთის იმპერიალიზმის ხიზში მტაცებლური ხასიათის გამოჩენა, ამის შესანიშნავ ნიმუშს იძლევა საფრანგეთის მიერ წამოყენებული პირობები იმ გარანტიის, რომელსაც ის მოითხოვს გერმანიისაგან მორიგი საკონტრიბუციო გადასახადის ვადის გადასადებად. ამ მოთხოვნილების აზრით მოკავშირეთა (რასაკვირველია ამ შემთხვევაში უმთავრესად საფრანგეთის) კონტროლს ქვეშ უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო ბანკის ოპერაციები ისეთი დამოუკიდებლობის, რომელიც, განსაკუთრებით ფინანსიური კაპიტალის ბატონობის ხანაში, წარმოადგენს ყველაზე უფრო სახელმწიფოებრივ მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას მისი [illegible]; კონტროლი იმპორტის და ექსპორტის, ვალუტით ვაჭრობის, სახელმწიფო შემოსავლის, კიდევ მეტი. საფრანგეთის ფინანსიურ ყაჩაღობას სურთ ხელი დაადონ გერმანიის მრეწველობას, რომ მიითვისონ მეტით მის კაპიტალში მონაწილეობის მიღებით და სხვა და სხვ. ყოველისფერი ეს გერმანიის ტერიტორიალურათ დღეის დაქუცმაცების შემდეგ, მისი სამხედრო (როგორც ხმელეთზე, ისე წყალზე) ძალების განადგურების, მისი საწარმოო ძალების ყაჩაღურათ გატაცების, ერთი სიტყვით მთელი ქვეყნის დარბევისა და აწიოკების შემდეგ.

ეს უზომო მადა საფრანგეთის აწვავებს მდგომარეობას ანტანტაში, ამ ქვეყნის დამოკიდებულებას კერძოთ ინგლისთან.

ძნელია მისი თქმა, თუ როგორი იქნება რეაქცია შედეგი ლოიდ-ჯორჯის „მუქარის". მისმა „მუქარამ" პოლიტიკამ წარსულში საფრანგეთთან დამოკიდებულების საკითხში ბევრი მასალა მოგვცა, რომ არ აჩქარებით საბოლოო დასკვნების გამოსაყვანათ რაც შეეხება ანტანტის საბოლოო და ფორმალურათ დაშლას. მაგრამ ცხადია, რომ ჩვენ უახლოვდებით ამ მხრივ საბოლოო წერტილს, რომ ვერსალის ხელშეკრულების დღენი დათვლილია. აქეთ მიაქანებს „გამარჯვებულის" დღევანდელი სიბრმავე. ევროპის რევოლუციონური სიტუაცია.

უზენაეს ტრიბუნალის განაჩენი ესერების საქმის შესახებ

მოსკოვში 8 აგვისტოს უზენაეს რევოლუციონურმა ტრიბუნალმა გამოიტანა დასაბუთებული განაჩენი მემარჯვენე ესერების საქმის შესახებ.

უზენაესმა ტრიბუნალმა გრიგოლ რატნერი გაამართლა; მორაჩევსკი გაამართლა. სტავსკაიას ბრალდება ჯაშუშობაში იცნო დაუმტკიცებლად; ზლობინს მიუსაჯა დაპატიმრება 2 წლით სასტიკი იზოლიაციით; გელფოვსა და დობროლიუბოვს დაპატიმრება 3 წლით სასტიკი იზოლიაციით; დაშევსკის 3 წ. დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით. სტავსკაიას დაპატიმრება 2 წლით სასტიკი იზოლიაციით: უტგოვს, დერიუგინსკის და მიხეილ ლვოვს 5 წლით დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით; პელევინს დაპატიმრება 3 წლით; უსოვს, ზუბკოვს, ფედოროვს და კოზლოვს ხცნობს რა მათ მძიმე დანაშაულობას, მაგრამ იღებს რა მხედველობაში მას, რომ ისინი პროლეტარები არიან—მიუსაჯა 5 წლით დაპატიმრება; ეფიმოვს 9 წლით დაპატიმრება; ლიბეროვს 10 წლით დაპატიმრება; რაკოვს 10 წლით დაპატიმრება. გოცსა, დონსკოის, გერშტეინს, გენდელმანს, ლიხაჩს, ნიკოლოზ ივანოვს, ევგენია რატნერს, ტიმოფეევს, მოროზოვს, აგაფონოვს, ალტოვსკის, იგნატიევს, სემიონოვს, კონოპლიოვას, ელენე ივანოვას—დახვრეტა.

სასამართლო იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ იგნატიევმა საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი თავის კონტრ რევოლუციონურ წარსულთან და წარმოადგენს სოციალურად უშიშარ ელემენტს.—უზენაესი ტრიბუნალი შუამდგომლობს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის წინაშე განთავისუფლოს იგნატიევი სასჯელისაგან.

სემიონოვის, კონოპლიოვას, ეფიმოვის, უსოვის, ზუბკოვის, ფედოროვის, კოზლოვის, პელევინის, სტავსკაია და დაშევსკის შესახებ,—ტრიბუნალი სცნობს, რომ ისინი გულწრფელად იყვნენ ჩავარდნილი გაუგებრობაში, როდესაც სჩადიოდენ ბოროტმოქმედებას და შეიგნეს რა კონტრ რევოლუციონური როლი სოციალისტ-რევოლუციონერებისა, გამოვიდნენ ამ პარტიიდან და წავიდნენ მუშათა კლასის მტრების ბანაკიდან, სადაც ისინი შემთხვევით იყვნენ მოხვედრილნი.

ხსენებულ ბრალდებულებმა შეიგნეს მთელი სიმძიმე მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისა. ტრიბუნალი სავსებით დარწმუნებულია, რომ ისინი მედგრად და თავდადებულად იბრძოლებენ მუშათა კლასის რიგებში. ამიტომ ტრიბუნალი შუამდგომლობს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე მათი სასჯელისაგან სავსებით განთავისუფლების შესახებ.

გარდა ამისა ტრიბუნალმა მიუსაჯა ბრალდებულებს (გამოტოვებულია)... გორკოვს, ზლობინს, ლვოვს, რაკოვს, ფედოროვიჩს, უტგოვს, ლიბერს და ბერგს უფლებების ჩამორთმევა 5 წლით. იგნატიევი, კონოპლიოვა, სტავსკაია, სემიონოვი და უსოვი დააპატიმრონ.

ნივთიერი საბუთები შეინახონ ოქტომბრის რევოლუციის არქივში.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის დადგენილება

ხსნობს რა ერთის მხრივ, სავსებით სასწორეს და რევოლუციონურ მიზანშეწონილებას უზენაესი ტრიბუნალის დადგენილებისა და იღებს რა მხედველობაში, მეორეს მხრივ, ჩამორჩენილ, ბურჟუაზიის მიერ დანიშნულ და სოციალ დემოკრატიის მიერ მოტყუებულ საერთაშორისო მუშათა კლასის ნაწილის არსებობას და ისახავს რა, ამ შემთხვევაში მიზნად აჩვენოს მშრომელ მასას ცხადი გაკვეთილი რევოლუციონური მოქმედებისა,—სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმი ადგენს:

1) უზენაეს ტრიბუნალის განაჩენი, ბრალდებულ გოცისა, დონსკოისა, გერშტეინისა, გენდელმანისა, გრაბოვსკისა, ლიხაჩისა, ივანოვისა, ევგენია რატნერისა, ელცინისა, ტიმოფეევისა, მოროზოვისა, აგაპოვისა, ალტოვსკისა და ივანოვას მიმართ, რომელთაც მისჯილი აქვთ უმაღლესი სასჯელი,—დამტკიცებულ იქნეს, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა შეჩერდეს.

თუ სოციალისტ რევოლუციონერების პარტია ფაქტიურად, სინამდვილეში, შესწყვეტს არა ლეგალურ შეთქმულობებს, საიდუმლო ტერორისტულ, სამხედრო ჯაშუშურ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა აჯანყებების მოწყობის მუშაობას, ამით იგი გაანთავისუფლებს უმაღლეს სასჯელისაგან თავის ხელმძღვანელ წევრებს, რომელნიც წარსულში ხელმძღვანელობდნენ ამ მუშაობას და თვით პროცესზედაც დაიტოვეს უფლება ამ მუშაობის მომავალშიც გაგრძელებისა.

პირიქით: თუ სოც.-რევოლუციონერთა პარტია განაგრძობს შეიარაღებულ ბრძოლას მუშურ გლეხური მთავრობის წინააღმდეგ, ეს აუცილებლად გამოიწვევს დახვრეტას, უკვე გასამართლებულ, კონტრ რევოლუციონური აჯანყებისა და ტერორის სულის ჩამდგმელებისას და და ორგანიზატორებისას.

როგორც უმაღლესი სასჯელით დასჯილნი, ისე ხანგრძლივი ვადით დაპატიმრება მისჯილნი, უნდა იმყოფებოდენ სასტიკ იზოლიაციაში.

2) სემიონოვის, კონოპლიოვას, ეფიმოვის, უსოვის, ზუბკოვის, ფედოროვის, კოზლოვის, პელევინის, სტავსკაიას, კაშჩეევსკის და იგნატიევის შესახებ, უზენაეს ტრიბუნალის შუამდგომლობა მათი სრულიად განთავისუფლების შესახებ—დაკმაყოფილებულ იქნეს.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარე—კალინინი.

მდივანი—ენუქიძე.

რადიო-დეპეშები

(„კავროსტა")

ლონდონის თათბირი

ნაუენი. 10 აგვ. (რადიო) ლონდონის თათბირის მეორე დღეს გაიმართა ექსპერტების სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა ფრანგების მიერ წამოყენებული წინადადებანი იძულებითი ზომებისა და პროდუქტიული გარანტიებისა და აგრეთვე გერმანიისათვის მისაცემ მორატორიუმის პირობების შესახებ. ლონდონის თათბირის წრეებში ფიქრობენ და ექსპერტების უმრავლესობაც წინააღმდეგია საფრანგეთის წინადადებისა, რადგანაც იგი უნაყოფოა და შეუძლია მხოლოდ 700 მილიონ მარკის (ოქროთი) გადახდევინება. ლლოიდ ჯორჯს დღევანდელ სხდომაზე განზრახვა აქვს შეიტანოს ახალი წინადადებანი. თათბირის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ საფრანგეთის წინადადებანი არის მაქსიმუმი თუ მინიმუმი საფრანგეთის მოთხოვნილებისა. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ თუ თათბირმა ვერ შესძლო საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრა, ეს გარემოება შექმნის დიდ საფრთხეს არა მარტო გერმანიისათვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. ინგლისის პრესაც ხედავს ამ შესაძლებლობას და ამ გარემოების თავიდან ასაცილებლად მას საჭიროდ მიაჩნია კომპრომისის მიღება, რომლითაც გერმანიას ეძლევა დროებითი მორატორიუმი, ხოლო საერთაშორისო ვალების საკითხის საბოლოოდ გადაჭრა კი გადადებული იქნება შემდეგ თათბირამდე, რომელიც ნეიტრალურ სახელმწიფოში.

განხეთქილება არ მოხდება.

ბორდო. 10 აგვისტო (რად.) იტალიის სახელმწიფო ხაზინადარს ქონდა თათბირი პარიზში გრაფ სფორცასთან, ხოლო შემდეგ იგი გაემგზავრა ლონდონში თათბირში მონაწილეობის მისაღებად. გაზ. „ჟურნალის" ცნობით, მიუხედავათ არსებული მდგომარეობისა, თათბირზე განხეთქილება მაინც არ მოხდება და შეთანხმება მიღწეულ იქნება. გაზეთი აღნიშნავს იმ კარგ შთაბეჭდილებას, რომელიც ლესტერმა მოახდინა თათბირზე.

გაზ. „გოლუას" პუანკარეს მიერ დაკავებული პოზიცია ძალიან გარკვეულად მიაჩნია და, იგი არც ერთ შემთხვევაში არ დასთმობს იმ პრინციპებს, რომელსაც იგი იცავს. ეს იქნებოდა კაპიტულიაცია, რომელსაც არც პარლამენტი და არც რესპუბლიკა არ მიიღებდა. გაზ. „ომლიბრის" ცნობით პუანკარეს მანდატი იმდენად იმპერატიულია, რომ მან არ შეუძლია დაეთანხმოს მორატორიუმს პროდუქციული გარანტიების გარეშე. საფრანგეთის სხვა და სხვა ოლქებში გამოიტანეს რეზოლუციები, რომელშიც იწონებენ პუანკარეს სიმტკიცეს საფრანგეთის საარსებო ინტერესების დაცვის საქმეში.

ლონდონის ყველა გაზეთები აღნიშნავენ მდგომარეობის სერიოზულობას, მაგრამ ზოგიერთებს კიდევ აქვთ თათბირის სასურველად დამთავრების იმედი. ფინის ხანგრძლივი თათბირი ქონდა ლოიდ ჯორჯსა და პუანკარესთან. გაზ. „მატენის" ცნობით მოკავშირეებს განზრახვა აქვთ მიიღონ სამი მუხლი ფრანგების წინადადებისა, სახელდობრ: საკონტრიბუციო კომისიის მიერ მიღება ერთი მეოთხედისა იმ თანხიდან, რომელსაც გერმანია იღებს თავის საზღვარ გარეთულ წარმოებებიდან ექსპორტისათვის. ალება გერმანიიდან საბაჟო გადასახადებისა და რეინლანდში მაღაროებსა და ტყეებზე კონტროლის დაწესება. სხვა წინადადებებს ხელ ახლავ განიხილავენ. პუანკარე გაუკეთებს მოხსენებას კაბინეტს პარიზში.

პუანკარეს გეგმა მიუღებელია

მოსკოვი. 11 აგვისტო (რადიო). ლიფილ-ღიდან 9 აგვისტოს თარიღით იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა ექსპერტები იხილავდენ პუანკარეს წინადადებას გერმანიაზე კონტროლის დაწესების შესახებ. ინგლისის პოლიტიკური წრეები ფიქრობენ, რომ პუანკარეს გეგმა მიუღებელია, ვინაიდან მისი განხორციელება მოითხოვს ყველა იმ თანხის ღახარჯვას, რის მისაღებათაც არის განზრახული თვით ეს გეგმა. ამიტომ ფიქრობენ, რომ ლონდონის კონფერენცია დამთავრდება გერმანიისათვის მოკლე ვადიანი მორატორიუმის მიცემით, რათა მოკავშირეებს მიეცეთ შეთანხმების შესაძლებლობა. ლლოიდ-ჯორჯს გუშინ ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა პუანკარესთან. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ექსპერტების უმრავლესობა წინააღმდეგია პუანკარეს წინადადებისა, რის გამოც ლონდონის კონფერენციის მარცხი აუცილებლათ მიაჩნიათ. ფიქრობენ, რომ ხვალ ლლოიდ ჯორჯი კონტრ წინადადებებს წამოაყენებს.

ჩაშლა აუცილებელია

მოსკოვი. 10 აგვისტო. (რადიო) გაზ. „პტი-პარიზიენი" იტყობინება, რომ ლლოიდ ჯორჯი დარწმუნებულია კონფერენციის ჩაშლაში, პუანკარეს მიერ დაკავებული პოზიციის გამო.

პუანკარეს წინადადების შესახებ

მოსკოვი. 11 აგვ. (რადიო) საფრანგეთის ექსპერტები პუანკარეს წინადადების განხილვის დროს აღნიშნავდენ, რომ საფრანგეთის პროექტის განხილვა მოგვცემდა დაახლოვებით ორ მილიარდ მარკას ოქროთი. საფრანგეთის ექსპერტებმა წინადადება მისცეს მოკავშირეებს აილონ დაპყრობილ რეინის ოლქის სამთო მრეწველობის გერმანელთა წარმოების 60 პროც. ბრიტანეთისა და იტალიის ექსპერტები მიუთითებდენ იმაზე, რომ ნახშირის მაღაროების კონტროლი მოგვცემს (დამახინჯებულია). ქაღალდის ვალუტით.

გერმანიის დამონავების შესახებ

მოსკოვი. 11 აგვ. (რადიო) გაზეთ „დეილი ტელეგრაფი" სწერს, რომ გერმანიის დამონავების სურვილი გააძლიერებს ამ უკანასკნელში მხოლოდ რევოლუციონურ მოძრაობას. გაზე-

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

აცხადებს, რომ სამშაბათს, 15 აგვისტოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის შენობაში გაიმართება

ცენტრალურ კომიტეტის პლენუმის სხდომა.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

შაბათს, 12 აგვისტოს საღამოს 5 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება

თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის სხდომა

დღის წესრიგი:

1) თბილისის ქალაქის აღმასკომის მომავალი მუშაობის გეგმა.
2) დამტკიცება სავალდებულო დადგენილებისა საბურთალოში საქონლის ძოვების შესახებ.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

(2—2) მდივანი **ხუნდაძე.**

ორშაბათს ამა წლის 14 აგვისტოს ზუბალოვის სახელობის ყოფილ სახალხო სახლში შესდგება

თბილისის ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება ქალაქის აღმასკომის მუშაობის გეგმის შესახებ.
2) კომუნალური მეურნეობის მოხსენება ქალაქის წარმოებათა მდგომარეობის შესახებ.
3) ცნობა სექციათა მუშაობის შესახებ.
4) პრეზიდიუმის განცხადება.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

(3—2) მდივანი **ხუნდაძე.**

კვირას, 13 აგვისტოს შუადღის 12 საათზე

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში

დანიშნულია

საექიმო-სასანიტარო დარგში მომუშავეთა საერთო-საქალაქო კონფერენცია

იქვე დილის 9 საათზე დანიშნულია დელეგატთა კომფრაქციის სხდომა. დასწრება არჩეულ დელეგატებისა სავალდებულოა.

(2—1) საექიმო სასანიტარო კავშირის პრეზიდიუმი.

თი ეხება რა საფრანგეთის წინადადებებს აღნიშნავს, რომ ფრანგები თავს იტყუებენ ილიუზიებით, თითქმის დიდძალ სიმდიდრეს მიიღებდენ გერმანიის მრეწველობის კონტროლიდან. გაზ. „მორნინგ პოსტი“ აღნიშნავს, რომ გერმანია იმყოფება ფინანსიური კატასტროფის წინაშე, ავსტრია გაღარიბდა. საფრანგეთის ბიუჯეტი შედგენილია დეფიციტით, ხოლო მოკავშირენი კი ძველებურად მიმართავენ თავის ძველ მანევრებს. გაზეთი ფიქრობს, რომ ლოიდ-ჯორჯი საფრანგეთთან კავშირს არ გაწყვეტს და არ დაუმეგობრდება გერმანიას. გაზ. „მანჩესტერ გარდიანი“ აღნიშნავს, რომ პუანკარეს მიერ განზრახული ზომები აუცილებლად მიიყვანენ გერმანიას კატასტროფამდე.

თავისა თვისხათვის.

მოსკოვი. 11 აგვისტო (რადიო). ლორდ გრეიმ სიტყვა წარმოსთქვა ოქსფორდში მიტინგზე და მკაცრი კრიტიკა გაუკეთა ბალფურის უკანასკნელ ნოტას. გრეის საჭიროდ მიაჩნია გერმანელთა სარეპარაციო თანხის შემცირება მიზანშეწონილ საზღვრამდის და გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემა.

ვერ შეთანხმდენ.

მოსკოვი. 11 აგვისტო (რადიო). მოკავშირეთა ექსპერტების კომისიამ, რომელიც იხილავდა პუანკარეს წინადადებას, შეთანხმებას ვერ მიაღწია. შესაძლებელია, რომ ფრანგებმა და ბელგიელებმა განსაკუთრებული აზრი წარმოადგინონ. შეთანხმების იმედი არ არსებობს. ამიტომ ფიქრობენ, რომ კონფერენცია იქნება გადადებული, რომ შეძლება მიეცეს მთავრობებს ხელახლავ განიხილონ ეს საკითხი. გუშინ ფრანგულ წყაროებიდან გავრცელდა ხმები, თითქოს შეთანხმება უკვე მოხდა ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ამ ცნობას არავითარი საფუძველი არა აქვს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

ფოსტის გადაგზავნა საზღვარ-გარეთ.

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო). განზრახულია მოეწყოს ფოსტით ამანათების გზავნა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკიდან საზღვარ-გარეთ.

სამუშაო ფრონტზე.

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო). პეტროგრადში ამდენ ხანს უმოქმედო ასანთის ფაბრიკა, ასანთის ჩრდილო-დასავლეთის ტრესტისა, დაიწყებს მუშაობას აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

საგარეო ვაჭრობა.

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო). კენიგსბერგში მიემგზავრება რუსეთის სავაჭრო დელეგაცია.

,,არკოსის'' წარმომადგენლობა.

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო). ინგლის-რუსეთის საექსპორტო ამხანაგობამ ,,არკოს'' ლონდონში, გახსნა თავისი წარმომადგენლობა პეტროგრადში.

ახალი ორთქლმავალები.

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო). ჰამბურგიდან პეტერბურგში წამოვიდა გემი 18 ორთქლმავალით, რომელიც შეკვეთილია გზათა სახალხო კომისარიატის მიერ.

ხე-ტყის მასალის გაზიდვა.

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო). გაიგზავნა ინგლისში 1.400 ზე მეტი სტანდარტი ხე ტყის მასალისა.

ნახშირი პეტროგრადისათვის.

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო). აგვისტოში პეტროგრადში მოელიან 40,000 ტონ ნახშირს.

სამხრეთ-აღმოსავლეთში.

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო). სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიღებული ცნობით სასურსათო გადასახადის შეკრება წარმატებით მიმდინარეობს.

საზოგადოება „ჟივაია ცერკოვის“ ყრილობა.

მოსკოვი. 10. აგვისტო (რად.). საზ. „ჟივაია ცერკოვის“ ყრილობის მეორე სხდომაზე მოსმენილ იყო მოხსენებები რუსეთის ეკლესიის შავრაზმელ ბერებით ავსების შესახებ და საეკლესიო კონტრ-რევოლიუციასთან და ეკლესიის შავრაზმელ ელემენტებთან ბრძოლის შესახებ.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ რუსეთის შავრაზმული სასულიერო წოდება რომელიც იმყოფება ვრანგელის რიგებში, მუდამ სცდილობს პროლეტარულ რუსეთის წინააღმდეგ შუღლის დათესვას. მიღებულია რეზოლიუციები, რომელიც მოითხოვენ კონტრ-რევოლიუციონურ საეკლესიო საბჭოების გაშვებას და მონასტრების მშრომელ საზოგადოებათ გარდაქმნას სასოფლო სამეურნეო კომუნების სახით მონასტრები უნდა გადაკეთდეს სამკურნალო პუნქტებად, ხოლო ბერებმა უნდა შეისწავლონ გიგიენა და სანიტარია. „ჟივაია ცერკოვის“ ჯგუფმა უნდა მოითხოვოს მომავალ სრულიად რუსეთის საეკლესიო ყრილობაზე, პატრიარქ ტიხონის თანამდებობიდან გადაყენება.

სახელმწიფო მომარაგება.

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო). წინასწარი ცნობების თანახმად სახელმწიფო მომარაგების გეგმა წარმატებით იქნა შესრულებული. დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მოთხოვნილება 100 პროც.-ზე მეტად იქნა დაკმაყოფილებული. გასტუმრებულია წასული თვეების ვალები. მრეწველობის კოლექტიური მომარაგება სავსებით დაკმაყოფილებულა. არმიის მომარაგების მთავარმა სასურსათო კომიტეტმა მიიღო მოთხოვნილ სურსათის 100 პროც.

სახალხო განათლება.

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო). სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოების მძიმე მატერიალურ მდგომარეობის გამო, საბჭოთა რუსეთის სახალხო განათლების კომისარიატმა შეიმუშავა ამ ორგანოების სასოფლო საზოგადოებებთან მოლაპარაკების ნორმები სასოფლო შკოლების შენახვის მიზნით, სახელდობრ: ყრილობა გამოარკვევს თანახმა, იგი თუ არა თავს იდვას შკოლის შენახვა, იმის გამო, რომ სახელმწიფოს არ აქვს საშუალება შეინახოს ის შკოლები. სახალხო განათლების კომისარიატი აქცევს ყურადღებას იმას, რომ ხელშეკრულების დადების დროს გამოჩენილ იქნეს სიმტკიცე საბჭოთა შკოლების მთავარ მონაპოვართა დაცვის საქმეში.

ტრანსპორტის მუშები ეხმარებიან დამშეულებს.

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო). დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა გზათა სახ. კომისარიატის და სატრანსპორტო განყოფილებასთან ერთად დაადგინა განგრძობილ იქნეს ტრანსპორტის მუშების ბრძოლა დამშეულთა დახმარების ფრონტზე და მიმართულ იქნეს დამშეულთა დახმარების მუშაობა უპატრონოდ დარჩენილ ბავშვების, ტრანსპორტის ინვალიდების უმუშევართა და კავშირის გაჭირვებულ წევრთა დახმარება შენახვისაკენ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

რეიხსბანკი.

ნაუენი. 10 აგვისტო (რადიო). რეიხსბანკი კატეგორიულად უარყოფს ჰავასის სააგენტოს მიერ კოპენგაგენიდან გადმოცემულ ცნობას შესახებ იმისა, რომ თითქოს რეიხსბანკმა წინადადება მისცა ყველა ფინანსიურ დაწესებულებებს და წარმოებებს გამოიტანოს ბაზარზე ყველა ფრანგული და ბელგიური ძვირფასი ნივთები, რომ ხელოვნურად გამოიწვიოს გადახურდავების დაცემა და ამით გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზიაზე ლონდონის კონფერენციის შესახებ.

მარკის გადახურდავების დაცემის შედეგები.

ნაუენი. 10 აგვისტო (რადიო). პრუსიის სავაჭრო პალატა თავის მოხსენებაში ამბობს, რომ მარკის დაცემის ერთ-ერთი სერიოზული შედეგი იქნება გერმანიის ხალხის მიერ შესყიდვის უნარის დაკარგვა, რასაც თავის თავად ძლიერი გავლენა ექნება საერთო ევროპიულ საქმიან ცხოვრებაზე.

საერთო გაფიცვის მუქარა.

ბორდო. 10 აგვისტო (რადიო). გაზ. „გოლუა“-ს ცნობით პურზე ფასების აწევამ გამოიწვია საერთო გაფიცვის გამოცხადების მუქარა. მთავრობა მზად არის გამოაცხადოს საალყო წესები. ყველა პარტიები მთავრობას უჭერენ მხარს.

ინგლისი

თემთა პალატაში.

ნაუენი. 10 აგვისტო (რადიო). ხაზინის ლორდმა სერ-რობერტ გორნმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ გერმანია მზად იყო შემოეღო ახალი გადასახადები და აღესრულებია ყველა თავისი ვალდებულებანი თანახმად იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დადებული იყო 15 ივნისს, მაგრამ რატენაუს მკვლელობამ გამოიწვია გერმანიის მარკის კურსის ხელ-ახლავ ძლიერად დაცემა, ზავის ჩამოგდების დღიდან გერმანიამ გადაუხადა საკონტრიბუციო კომისიას 107 მილ. გირვანქა სტერლინგი ნაღდათ და გადასცა მოკავშირეებს გემები და მასალა ღირებული 160 მილ. გირვანქა სტერლინგათ. გარდა ამისა საზოგადოებრივი ქონება პოლონეთში დაცინგსა და ჩეხოსლავაკიაში შეფასებულია 125 მილ. გირ. სტერლ. და საარის მაღაროები 25 მილ. გირვ. სტერ. სერგორმა განაცხადა, თუმცა გერმანიას შეუძლია გადაიხადოს მნიშვნელოვანი კონტრიბუცია, მაგრამ ამ ჟამად საჭიროა გერმანიას მიეცეს მორატორიუმი. ამასთან ერთად ურთიერთ გაუქმებული უნდა იყვეს მოკავშირეთა ვალები, მაგრამ მარტო ინგლისს არ შეუძლია ამ გეგმის განხორციელება. ასკვიტმა განაცხადა, რომ გერმანიის კონტრიბუცია უნდა შემცირებულ იქნეს იმ დონემდე, რომელიც საჭირო იქნება განადგურებულ ოლქების აღსადგენათ. ლოიდ-ჯორჯი აღნიშნავს მოკავშირეთათვის არსებულ საფრთხეს, თუ გერმანია მიყვანილი იქნება სასოწარკვეთილებამდე და განაცხადა, რომ ინგლისი წინააღმდეგობას გაუწევს ყველა იმ ზომებს, რომელთაც შეუძლია ევროპა დაღუპვამდე მიიყვანოს, ხოლო მოკავშირეებს კი არავითარ ნაყოფს არ მისცემს. ინგლისი ისევე უნდა ენდობოდეს გერმანიასა და საფრანგეთს, როგორც თავის ხალხს. გაზ. ,,ეხო დეპარის'' ცნობით სერ-რობერტ-გორნის პირით გამოთქმულია ის დაბრკოლებანი, რომელიც იხლართება საფრანგეთის ეროვნულ მოთხოვნილებათა და მთელი ქვეყნის საჭიროებათა შორის.

ამერიკა

შეერთებულ შტატებში.

ნაუენი. 10 აგვისტო (რადიო). გაზ. ,,პუბლიკ ლედჟერის'' ცნობით, შეერთებული შტატების სამხედრო და საზღვაო ექსპერტებმა შეიტანეს კონგრესში წინადადება არმიისათვის 200 ათასი და ფლოტილიისათვის 200 ჰაეროპლანის გაკეთების შესახებ.

ზარალი კალიისაგან.

ნაუენი. 10 აგვისტო (რადიო). შეერთებული შტატების მიწათ მოქმედების დეპარტამენტი ანგარიშობს, რომ კალიამ მოსავალი 30 პროც. დააზიანა.

ისპანია

ფოსტის მოსამსახურეთა გაფიცვა.

ბორდო. 10 აგვისტო (რადიო). მადრიდში მინისტრთა საბჭო იხილავდა საკითხს ფოსტის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ. გაფიცვა გრძელდება, გაზეთები არ გამოდის.

ლისაბონში.

ბორდო. 10 აგვისტო (რადიო). პურზე ფასების აწევის გამო დაწყებული გაფიცვის მიზეზით მოძრაობა შეჩერდა. გაზეთები არ გამოდის. არეულობა იზრდება.

იტალია

ფაქტას კაბინეთის დეკლარაცია.

ბორდო. 10 აგვისტო (რადიო). ფაქტამ წაიკითხა პარლამენტში მთავრობის დეკლარაცია. კაბინეთი განაგრძობს გადასახადების სისტემის გადასინჯვას. მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია საკონტრიბუციო პრობლემისა და ვალების საკითხის დაყოფა, რადგანაც მას მიაჩნია ეს საკითხი ერთ საკითხად, ევროპის აღდგენის შესახებ. დეკლარაციას ტაშის ცემით შეხვდენ—ყველანი. გარდა მემარცხენეებისა. გაზ. „ჟურნალ დი იტალიას“ ცნობით მთავრობას სათანადო უმრავლესობა ეყოლება. გაზ. „ტრიბუნას“ ცნობით ფაშისტები არ დაუჭერენ მხარს არც ერთ მთავრობას, რომელიც არსებული პარლამენტიდან იქნება შედგენილი.

საბერძნეთი

ათინაში სტამბოლის ავანტიურის წინ.

სტამბოლი. გაზ. „პატრისის“ ცნობით ნაციონალური პრობლემები კვლავ გახდენ დიდი ყურადღების საგნათ. ათინის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, რომელსაც დაესწრო სმირნის უმაღლესი კომისარი, საბჭომ დაადასტურა გადამჭრელი ზომების მიღება. პოლიტიკური და სამხედრო წრეების ყველა ცნობილმა წარმომადგენლებმა მიიღეს წინადადება სასახლეში გამოცხადებისა, რათა წარმოადგინონ თავისი მოსაზრებანი ამ გადამჭრელი ზომების შესახებ. არ არის არავითარი ცნობები ამ ზომების ოფიციალურად დადასტურების შესახებ. მიუხედავათ ამისა, ყველას სწამს, რომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ბოლო მოუღონ არსებულ გაურკვეველ მდგომარეობას, რისთვისაც საჭიროდ მიაჩნიათ მიმართონ აქტიურ ზომებს ყოველ მიმართულებით.

ბერძნების გეგმები.

ათინა. გაზ. „პატრის“ ცნობით, მინისტრების სხვა და სხვა ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადაწყვეტილი იქნა:

1. გამოაცხადონ ავტონომიური რეჟიმი ანატოლიის დაპყრობილ ადგილებში; 2. დანიშნულ იქნეს საბერძნეთის პრინცი უმაღლეს კომისრათ კრიტის კუნძულზე,—ამ კუნძულის ძველი ავტონომიური რეჟიმის მიხედვით; 3. სამხედრო ხელისუფლების მთელი ყურადღება მიაქციონ ფრაკიას. 4. მიიღონ დიპლომატიური ზომები მოკავშირეებთან უშუალო დამოკიდებულების მოსაწყობად. გაზ. „პატრის“ ცნობებით ეს ზომები საბოლოოა.

საბერძნეთის ავანტიურა

ნეიტრალური ზონის დაწესება.

ნაუენი. 10 აგვისტო (რადიო). ბერძნების სამხედრო წარმომადგენლებმა ინგლისის საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლებთან ერთად, ხელი მოაწერეს შეთანხმების იმ ოქმს, რომლითაც ჩატალჯის ხაზთან ბერძნებისა და მოკავშირეთა ჯარებს შორის წესდება ნეიტრალური ზონა.

აღმოსავლეთში

კილიკია.

ბორდო. 10 აგვისტო (რადიო). კილიკიის გუბერნატორად დაინიშნა კასტამუნის ყოფილი გუბერნატორი რეფეტ-ბეი, რადგანაც ამ თანამდებობის მიღებაზე უარი განაცხადა ჯემბულატ-ბეიმ. ანგორის იუსტიციის მინისტრად დანიშნული ჯელალ დინ-ბეი რჩება ელჩად იტალიაში

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობა

ანგორა. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ 124 ხმის უმრავლესობით მიიღო კანონი კომისართა საბჭოს არჩევის შესახებ.

ბერძნების სიმხეცენი.

სტამბოლი. ანგორის წარმომადგენელმა მიიღო ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის პროტესტის ნოტა, ბერძნების იმ სიმხეცეთა შესახებ, რომელსაც ისინი სჩადიან დაპყრობილ ადგილებში. ნოტა მიმართულია კულტუროსანი კაცობრიობის ყველა პარლამენტების მიმართ და შეიცავს დაწვრილებით ცნობებს იმ ექსცესების შესახებ, რომელიც ბერძნებმა მოახდინეს დაპყრობილ ადგილებში.

კაპიტალის შემოტევა

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო) პრაგიდან მიღებულ ცნობების თანახმად ჩეხეთის მაღაროების მეპატრონეთა მოლაპარაკება მემაღაროეებთან დამთავრდა პირველების გამარჯვებით.

კაპიტალის წინააღმდეგ

მოსკოვი 10 აგვისტო (რადიო) ვარშავიდან მიღებულ ცნობების თანახმად საფრანგეთის საფეიქრო წარმოებათა მუშებმა წარადგინეს მოთხოვნილება ხელფასის გადიდების შესახებ. მწარმოებლები დაეთანხმენ ხელფასის პროცენტულად გადიდებაზე, ხოლო მოითხოვენ სამუშაო დროის კვირაში 5 საათით გადიდებას. მუშებმა უარყვეს ეს წინადადება. სამხრეთ საფრანგეთში მოსალოდნელია გაფიცვა, ჩრდილოეთ საფრანგეთში საფეიქრო წარმოებათა მუშები (გამოტოვებულია) გაფიცულნი არიან.

მბეჭდავთა გაფიცვა

მოსკოვი 10 აგვისტო (რადიო) ბორდოდან მიღებულ ცნობების თანახმად, ფრანკფურტში მომხდარ მბეჭდავ-მუშების გამო გაზეთები არ გამოდიან.

მათი ერთიანი ფრონტი

მოსკოვი 10 აგვისტო (რადიო) ჰანოვერიდან მიღებულ ცნობების თანახმად ფრანკფურტში 7 აგვისტოს გაიმართა მემაღაროეთა საერთაშორისო კონგრესის პირველი სხდომა. რუსეთის მემაღაროეთა წარმომადგენლები არ იქნენ დაშვებულნი კონგრესზე, ვინაიდან ისინი ეკუთვნოდენ მე-3 ინტერნაციონალს.

ბელგიის კომუნისტური ახალგაზრდობის ყრილობა

მოსკოვი 10 აგვისტო (რადიო) ბელგიაში გაიმართა კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის პირველი ყრილობა. საფრანგეთის კომუნისტები კუტიურსი და (გაურკვეველია). რომელთაც სურდათ ყრილობაზე გამოსვლა არ იქნენ დაშვებულნი ბელგიაში სანაპირო ხელისუფლებათა მიერ.

ესეც თავისუფლებაა.

მოსკოვი. 10 აგვისტო (რადიო). ვარშავიდან იტყობინებიან, რომ პარიზში 5 მუშა, რომელიც მონაწილეობას იღებდენ მარტინის განთავისუფლებისათვის გამართულ დემონსტრაციაში, სამი თვით იქნენ დაპატიმრებულნი. 3 მუშა, რომელიც მოითხოვდენ 8 საათის სამუშაო დღის დაცვას, ხუთი თვით იქნენ დაპატიმრებულნი შრომის თავისუფლების კანონის დარღვევისათვის.

რეაქციის თარეში

მოსკოვი. 10 აგვ. (რადიო). მილანის გაზეთების ცნობით იატაკქვეშ მომუშავე ფაშისტების კომიტეტმა დაადგინა განდევნოს მილანიდან 72 გამოჩენილი სოციალისტი, მათ რიცხვში 3 დეპუტატი.

საფრანგეთის წინააღმდეგ

მოსკოვი. 10 აგვ. (რადიო). გერმანიის სახალხო პარტიამ გამოიტანა მთავრობის მოქმედებისადმი მოწონების რეზოლიუცია საფრანგეთის წინადადებისათვის დამორჩილებაზე უარის თქმის გამო. რეზოლიუცია მოუწოდებს გერმანიის ხალხს საფრანგეთისათვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევისათვის.

ქრონიკა

◆ **საბურთალოში საქონლის ძოვება** ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ დადგენილების თანახმად აკრძალულია. ეს დადგენილება საბოლოვოდ დასამტკიცებლად წარედგინა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს.

◆ **ერთიან სამხედრო კოოპერატივის გამგეობამ** ნება დართო გატანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან 250 ფ. ხიზები.

◆ **ტვირთზიდვის ხარკი.** გადასახადების ბიურომ დაამთავრა ქ. ტფილისში მუშა საქონლის აღრიცხვა. წინასწარი გამოანგარიშებით მსხვილფეხა სამუშაო საქონლის რაოდენობა ბევრად აღემატება ნავარაუდევს.

◆ **სახელმწიფო აკადემიურ თეატრების განსაკუთრებული სამმართველო** ყველა სახელმწიფო თეატრების სამხატვრო და ადმინისტრატიულ სამეურნეო გამგებლობის მიზნით სახალხო განათ. კომისარიატთან არსდება განსაკუთრებული სამმართველო, რომლის გამგებლობაში იქნება ოპერის, რუსთველის დრამატიული და პატარა თეატრები. ყველა უძრავ მოძრავი ქონებით და აგრეთვე ელექტრონის სადგური ყოფ. „ტარტო“. სამმართველოს სათავეში იდგომება პოლიტიკური კომისარი და მმართველი, რომელთაც დანიშნავს სახ. განათლების კომისარი და დაამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. მნიშვნელოვან საკითხების სათანადოდ გადასაწყვეტად, რომელიც ეხება სამხატვრო მხარეს, სამმართველოსთან ეწყობა სათათბირო ორგანოს სახით—სამხატვრო საბჭო, რომელიც შესდგება პოლიტიკურ კომისარის და მმართველის გარდა თეატრების გამგისაგან, მთავარ რეჟისორებისაგან და მთავარ დირიჟორისაგან. საერთო სათეატრო პოლიტიკის და სამხატვრო აკადემიურ მნიშვნელობის საკითხებში სამმართველო ღებულობს დირექტივებს მთავარ სამხატვრო კომიტეტისაგან, რომლის წევრებად ითვლებიან, პოლიტიკური კომისარი და მმართველი. სამმართველოსთან შეიძლება დაარსებულ იქნეს საოპერო და დრამატიული სტუდიები და სათეატრო შკოლები.

◆ **ვეფხო აკობაშვილი.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: ჩემი შვილი, ვეფხო აკობაშვილი, მობილიზაციით იქნა წაყვანილი ჯარში და უკვე 2 თვეა რაც არავითარი ცნობა არა მაქვს, თუ სად არის. რომელ სამხედრო დაწესებულებაშიაც არ მივედი, ვერავითარი ცნობა ვერ მომცეს და მე კი, როგორც მის დედას, ვერ მომითმენია და ძალიან ვიტანჯები. გთხოვთ ყველას ვინც იცის მისი ამბავ, გამაგებიოს.

ბაბალე აკობაშვილი.

◆ **ქურდის დაჭერა.** თბილისის სისხლის სამართლის განყოფილების თანამშრომლებმა დაატუსაღეს ქურდი **მისაკ საფაროვი**, რომელიც ქურდობდა სპეციალურად რკ. გზის სადგურებზე და ვაგონებში. აღმოაჩნდა ნივთები, რომელიც ინახება. სისხლის სამართლის სამმართველოში. მისხლის სამართველის ნაწილის უფროსი სთხოვს ყველა დაზარალებულთ მივიდნენ სამმართველოში თავის ნივთების გამოსაცნობად.

დღეს თეატრებში.

რუსთველის თეატრი—გრანდიოზული სურათი „ჯუნგლების საიდუმლოება“. ქართული კლუბის საზაფხულო თეატრი—საღამო-სპექტაკლი. საზაფხულო თეატრი არტო—კონცერტი-კაბარე. ბაღი თეატრი წრე—კონცერტი კაბარე—თბილ ქვეყნებში წამავალ ფრინველთა ბუდეები. სომხური კლუბის თეატრი—საღამო სეირნობა. მე-7 ცენტრ მუშ. კლუბი — სპექტაკლი ც. მ. კლ. ახალი თეატრი—კინო. თავისუფალი თეატრი — მე-2 ციკლი თეატრი ნიღაბის პროგრამისა. თეატრი ამირანი — კონცერტი-კაბარე. პროფ. კავშ. კლუბი—კონცერტი. ცირკი—მრავალფერ. პროგრამა.

კინო თეატრები.

სოლეი—სამხეთო ბრილიანტი. არფასტო —სიცილის საღამო. ეთერი—კინო დრამა. ოაზისი—ცირკის საიდუმლეობა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ზუგდიდის მაზრა

უმუშევრობა

1 ივლისისთვის შრომის განყოფილებას აღრიცხული ყავდა 20 უმუშევარი და ივლისის განმავლობაში აღრიცხულ იქნა კიდევ 24 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა 19 კაცი. აღრიცხვიდან ამოიშალა 2 კაცი, დარჩა აღრიცხული 1 აგვისტოსათვის 23 კ მათ შორის 11 ქალი, 12 კაცი.

დახმარება უმუშევრებს არ მიუღიათ საშუალების უქონლობის გამო.

შრომის და ტვირთზიდვის ბეგარა

შრომის და ტვირთზიდვის ბეგარის წესით გამოყენებული სამუშაოს და ტვირთზიდვის ძალა: ფოთის სატყეო კომიტეტისათვის 80 მუშა და 35 ურემი, სამაზრო სამხედრო კომისარიატისათვის 20 ურ. 2 ცხენი. ეკონომიურ განყოფილებას 40 მუშა და 10 ურ., სასურსათო კომიტეტს 20 ურ. 5 ცხენი და ტელეფონის ქსელის შეკეთებისათვის 6 ურემი.

აჭარა.

კულტურულ მეურნეობათა იჯარით გაცემა.

აჭარის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი შეუდგა ხელშეკრულებათა საბოლოვო დამტკიცებას ბათუმის სანაპიროების კულტურული მეურნეობათა იჯარით გაცემის შესახებ. ეს ხელშეკრულებები წინასწარ იყო დადებული მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სპეციალურ კომისიის მიერ, რომელიც ამ მიზნით გაემგზავრა ადგილებზე.

ჩაის ფალსიფიკაცია.

აჭარის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი იწვევს სხდომას ამ უკანასკნელ ხანებში, შემჩნეულ ჩაის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

მთავრდება მუშაობა იმ ქონებასა და ინვენტარის გამოსარკვევად, რომელიც ეკუთვნის აჭარის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. ორი კვირის შემდეგ სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს ბუხჰალტერიას ექნება სწორი ცნობები სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმოებაში და საწყობებში მყოფ ქონების და ინვენტარის შესახებ. მთელი შეფასება ოქროს ვალიუტაზე სწარმოებს.

მალიარიასთან ბრძოლა.

აჭარის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა მიიღო მოსკოვიდან დეპეშა, რომ ბათუმში გამოგზავნილი არიან სპეციალისტები ბათუმის მალიარიის საწინააღმდეგო სადგურში სამუშაოდ. მათი ჩამოსვლა სწორედ დროულია, ვინაიდან იწყება მალიარიის პერიოდი და სადგურის ავტორიტეტი მცხოვრებთა შორის მეტად შესუსტებულია: ავადმყოფთა გამოცხადების რიცხვი შემცირდა, მაშინ როდესაც სხვა ამბულატორიებში მალიარიით ავადმყოფთა რიცხვი იზრდება.

სომხეთი

ნახიჩევანის მხარე

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლის თავი

27 ივლისს ნახიჩევანის მხარეში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლის თავზე, ნახიჩევანში „თავისუფლების მოედანზე“ გაიმართა ჯარის ნაწილების პარადი, რომელსაც მიესალმენ ნახიჩევანის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. რიზაევი, ნახიჩევანის რაიკომის მდივანი ამხ. ნადრიმინი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბაბაევი და სხვ., რომელთაც აღნიშნეს მნიშვნელობა ნახიჩევანის მხარეში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე წლის თავისა.

დღისით წითელი ჯარის ნაწილებისათვის გაიმართა წარმოდგენა-მიტინგი, ხოლო საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში გამართულ იქნა წარმოდგენა-მიტინგი. ნახიჩევანის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. რიზაევის ხელის მოწერით მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასკომს, რომელშიც პირობა არის დადებული „მიიღონ ყოველგვარი ზომები აღმოსავლეთის კარებთან საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად“.

ეკონომიური ცხოვრება

ხილის დამზადება

სახალხო სასურსათო კომისარიატმა გორის მაზრის მეხილეთა ამხანაგობა „ლიახვის“ გარდა ხელშეკრულობა დასდო აგრეთვე ამავე მაზრის მეხილეთა მეორე დიდ ამხანაგობა „ქართლთან“. თანახმად ხელშეკრულობისა „ქართლმა“ სასურსათო კომისარიატს უნდა ჩააბაროს ნოემბრის ბოლომდე 12—15 ვაგონი საუკეთესო ჯიშის საექსპორტო ხილი: ვაშლი და მსხალი. ამ ხილის ფასი უდრის ტფილისის ბაზრის საშუალო ფასებს 25 პროც.-ის გამოკლებით. ფასებს აწესებს საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან წარმომადგენელნი: სახალხო სასურსათო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და „ქართლისა“. სახალხო სასურსათო კომისარიატი ამხანაგობა „ქართლს“ ავანსად აძლევს 500 მილიონ მანეთს, ამაში ნახევარს—ფულის ნიშნებით და ნახევარს—საქონლით. ხილის რეალიზაცია უნდა მოხდეს „ქართლთან“ შეთანხმებით იქ, სადაც უფრო საჭირო და ხელსაყრელი იქნება. რეალიზაციის შემდეგ მიღებულ ფულით უპირველესად გასტუმრებული იქნება სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ გაღებული ავანსი—500 მილ. მან. და აგრეთვე ყველა ის ხარჯები, რომელიც გაწეული იქნება ამ ხილის მოვლასა, და გადატანასა და რეალიზაციაზე. წმინდა მოგებას ბოლოს შუაზე იყოფენ სახალხო სასურსათო კომისარიატი და „ქართლი“.

მარცვლეულის დამზადება.

სახალხო სასურსათო კომისარიატი თელავის მაზრაში მარცვლეულის დამზადებას ასიწყებს. რათა ამ ოპერაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ერთი მაგალითი

თუ რამდენათ არიან ზოგიერთი მუშები და მოსამსახურეები ჩამორჩენილი და მოწყვეტილი საკავშირო ცხოვრებას—აი ამის ერთი მაგალითი—პეტროსიანის ფურნეში მუშაობს მეორე მუშასთან ერთად მუშა ავაქ მურადოვი. ორივე იქვე ერთ ოთახში ცხოვრობენ ერთად. ავაქ მურადოვმა შრომის ინსპექტორთან შრომის ხელფასის შესახებ საჩივარი შეიტანა. ეს გაუგია მეორე მუშას. ამ მეორე მუშამ ერთ საღამოს ერთი ამბავი დააწია მურადოვს: როგორ გაბედე და ხაზეინს უჩივლეო. ამ მუშას მურადოვისათვის უცემნია და თანაც ოთახიდან გამოუგდია. საჭიროა ამ მუშას, რომელიც თავის თავს თვითონვე მტრობს ასეთი თავხედობისათვის პასუხი მოეთხოვოს. კარგი იქნება მოხდებოდეს მისი საჯარო გასამართლება.

შემთხვევითი.

რა წესებია ერთ საპნის ქარხანაში

შრომის კანონებზე გვერდის ახვლით ზოგიერთი ვაჭარ-მრეწველებმა მიმართეს ერთ ხრიკს. თავის ქარხანას თუ მრეწველების არტელად აცხადებენ. ტყვილათ ირჯებიან ეს ვაჭბატონები. ნუ თუ არ იციან, რომ შრომის კანონები არტელებზედაც ვრცელდება.

საგუბერნიო ციხის მახლობლათ არსებობს ვინმე ორჯონიკიძის საპნის ქარხანა. ქარხანა ეკუთვნის ორჯონიკიძეს მაგრამ შრომის კანონებს რომ გვერდი აუაროს აცხადებს არტელიაო. შრომის ინსპექტორი, როდესაც ამ ქარხნის დასათვალიერებლათ მივიდა, მიახალეს: არტელს სათავეში უდგას ორჯონიკიძე, გარეშე საქმეთა საკომისარიატოს კომენდანტი და თქვენ აქ არაფერი გესაქმებათო.

ქარხანაში არც ერთი შრომის კანონი არაა შესრულებული. თვით ქარხანა ტეხნიკურ სანიტარულათ ძალიან მოუწყობელია. ნახევარი ქარხანა თუ არ დაიხურა უეჭველად ჩამოინგრევა და მუშებს იმ ხვერპლებს.

8 საათიანი სამუშაო დღე არ ხორციელდება. მუშაობენ 12 საათს. მუშები ზოგი არიან კავშირის წევრათ და ზოგი არც ზღვიულების ფულის შეტანა არ სწარმოებს მუშები მილებულია ძალთა ალმნუსხველ განყოფილების გარეშე. სამკურნალო დახმარებასაც მოკლებულნი არიან მუშები. ქარხანაში არ სდგას პირსაბანი, არც საპონი, პირსახოცი.

ერთი სიტყვით არტელის სახელით სწარმოებს ამ ქარხანაში მუშის შრომის უზომო ექსპლოატაცია.

საჭიროა ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. შრომის ინსპექტორი უკვე იყო აქ და შეადგინა სათანადო ოქმი. ოქმის შედგენა არ კმარა, საჭიროა თავკასულ ორჯონიკიძის დასჯა შრომის კანონების დარღვევისათვის.

ქ. ლ.

ფურნეებში

როგორც მკითხველებს მოეხსენება ფურნეებში ღამით მუშაობა აკრძალულია. ეს კანონი უმეტეს შემთხვევაში სრულდება, მაგრამ ზოგიერთი ვაჭბატონები სხვადასხვა მახინაციებით გვერდს უვლიან მას. ღამის 11 საათზე, როდესაც ავლაბარში კახეთის ქუჩაზე შრომის ინსპექტორი ამ მხრივ ფურნეებს ათვალიერებდა და ამოწმებდა, შენიშნა, რომ ხეჩიანის ფურნეში მუშაობდენ შევიდენ ფურნეში და ნახა, რომ ორი კაცი მუშაობს და ორიც ისე იდგა. მომუშავეებმა განაცხადეს, რომ ჩვენ ყველანი ხაზეინები ვართო. აშკარა იყო, რომ მუშები იყვნენ. შრომის ინსპექტორმა მათ მოსთხოვა სათანადო საბუთები. იმათაც მოუტანეს ნატარიუსის მიერ დამტკიცებული ხელშეკრულება. ცხადია ხეჩიანს მუშები მოუტყუებია. ამ ხელშეკრულებით მუშები ვითომ ხაზეინებათ არის ალიარებული მაგრამ თვითეულ მათგანს თვეში 1 მილიონ მანეთზე მეტის წლების უფლება არ აქვს. ეს ფაქტი მოწმობს ხსენებულ მუშების საკავშირო ცხოვრებიდან მოწყვეტას. ვაჭბატონი ხეჩიანი ასეთი მახინაციებისათვის სამაგალითოდ და სასტიკათ უნდა იქნას დასჯილი.

ვინმე.

ს. მ. უ. ს. ტყავეულობის განყოფილების ქარხნები

საგუბერნიო ციხესთან ორთაჭალის ქუჩაზე არსებული ტყავეულობის ქარხნები შრომის კანონების დაცვის მხრივ ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე. მათ ჯერ კიდევ ამ 6 თვის წინათ მიეცათ წინადადება, რომ გაესწორებიათ შენიშნული ტეხნიკურ სანიტარული შრომის პირობები. ქარხნების ადმინისტრაცია ყოველთვის გაიძახის: აი ახლა გავაკეთებთ აი ახლაო. უკანასკნელათ ორი კვირის ვადა მიეცათ. დეფექტები არც ამ ორი კვირის ვადაში გაასწორეს.

მუშები, რომელთა რიცხვი 45, ამის გამო ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან. მათ არა აქვთ სპეც. ტანისამოსი, ხის ფეხსაცმელები და სხვა. ნინა მახარაძის დახმარებით ამ რამდენიმე ხნის წინათ ყველაზე უფრო გაჭირვებულ 15 მუშას მიეცა საცვლები და ტუჟურკები. მუშებმა ამის გამო ამხ. მახარაძეს დიდი მადლობის ბარათი მიართვეს.

საჭიროა ქარხნების ადმინისტრაცია შრომის კანონების დაცვას მეტ ყურადღებას მიაპყრობდეს.

ვ—ძე.

ფართო ხასიათი მიეცეს, კომისარიატმა საჭირო თანხა გადასცა თელავის სამაზრო სასურსათო კომიტეტის განკარგულებაში. კომიტეტისთვის გაგზავნილი თანხა კიდევ იქნება გაძლიერებული იმ ფულით, რომელიც სასურსათო გადასახადის ნაცვლად შემოვა.

დაკეტილ მაზრებში.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა წინადადება მისცა სიღნაღისა, თელავისა გორისა და ახალციხის სამაზრო სასურსათო კომისრებს, რათა სხვა და სხვა უწყებისა და ორგანიზაციის წარმომადგენელთ ნება არ მისცენ სურსათის დამზადებისა ხსენებულ მაზრებში ცენტრის უდასტუროდ.

ივლისის ულუფა.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა წინადადება მისცა ოლქის განმანაწილებელ განყოფილებას, მიიღოს სასწრაფო ზომები ცენტრო საწყობიდან ივლისის ულუფის დასარიგებლად.

კოოპერაციის უპირატესობანი.

სახალხო სასურსათო კომისარიატი დაფნის ფოთოლის დამზადებას შეუდგა კოოპერაციის საშუალებით. საერთოდ კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს, რომ კოოპერაციას ყოველთვის უპირატესობა მისცეს სურსათის დამზადების საქმეში ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც კოოპერაცია და სხვა ორგანიზაცია და პირი ერთსა და იმავე პირობას წარმოადგენენ.

დახმარება აფხაზეთის საბავშვო სახლებს.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა აფხაზეთის საბავშვო სახლებს თავისი საწყობებიდან დაუთმო: საინები, კრუშკები, კოვზები, დანა-ჩანგალი და სხვა საგნები.

მატყლის დამზადება.

სრულიად საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი“ თანახმად სახალხო სასურსათო კომისარიატთან დადებულ ხელშეკრულობის უკვე შეუდგა მატყლის დამზადებას მთელს რესპუბლიკაში. ჯერ ჯერობით „მწყემსმა“ თავისი საგანგებო რწმუნებულნი გაგზავნა: ახალქალაქის, თიანეთის, თელავის, სიღნაღის და სხვა მაზრებში.

მდგომარეობა ბირჟაზე

თბილისის ბირჟა

თბილისი. 1 აგვისტო—სავალიუტო ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 10 აგვისტოსათვის: ოქროს თუმნიანი—900 000. ოსმალური ლირა—135.000. გირ. სტერლინგი—900.000. დოლარი—210.000.

ბაქოს ბირჟა.

ბაქო. 6 აგვისტო. ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი.

	3 აგვის.	5 აგვის.
დოლარი	5.000.000	5.000.000
გირვანქა სტერლინგი	23.500.000	23.500.000
ფრანგ. ფრანკი	460 000	460.000
იტალ. ლირა	250.000	250.000
ოსმალ. ქაღალდის ლირა	3.400.000	3.400 000
გერმან. მარკა	11.000	9.500
რუს. ვალდებ.	97	97
„ 1922 წ. (შემოკლ. 100 ათას.)	97	97
რუს. 1922 წ. (100 ათას ზევით)	97	97
10 მილიონ. ვალდებულ.	97	97
შემოკლ ვალ. 5.000 და 10.000	96	96
ქართული	2.250	2 300
500 მ. რომ. შეკ.	800.000	800 000
1000 კრონ.	200 000	200.000
ოქროს 10 მ.	23.800.000	23.800 000
ოსმალური ოქროს ლირა	19.000.000	19 000.000
ნალდები ოქროს 56 საწინჯ.	5 000.000	5 000 000
თუმანი	3.600.000	3 600 000
ვერცხლის 1 მ	1.250.000	1.250.000
„ წვრილი 1 მან.	525.000	520 000

განწყობილება მოდუნებულია.

ბათომის ბირჟა.

ბათომი. 8 აგვისტო. სავაჭრო-სავალიუტო ბირჟის ოფიცალური ბიულეტენი 7 აგვისტოსათვის. ოსმალური ქაღალდის ლირა—134 137,000 ქართული ბონებით, 3.200—2 800.000 საბჭოთა ფულის ნიშნებით. დოლარი—150—155 პიასტრი. გირ. სტერლინგი—680—690. 1000 მარკა—300—325. 20 ფრანკი—250—255. 20 იტალიური ლირა—148—152. ოსმალური ლირა—5.665—570. ოქროს 10 მან—665—670.
1000 მან. (500 მანეთიანებით)—30—35.

ერევნის ბირჟა.

ერევანი. 10 აგვისტო. ვალიუტის საბაზრო ფასები სომხური ფულის ნიშნებით: ოქროს 10 მანეთიანი—39 მილ. ოსმალური ოქროს ლირა—35,000,000 ოსმალური ქაღალდის ლირა—5,400,000 თუმანი—5,600,000 ბანკის ვერცხლი—1,800,000 დასახურდავებელი—800 ქართული ბონები—38,000.

რომის ბირჟა.

რომი. 9 აგვისტო (რადიო). ლონდონი—98,02. პარიზი—178,42. ნიუ-იორკი—22,09. ბერლინი—2,81. ბერლინი—ოქრო—426,23.

ბერლინის ბირჟა.

ბერლინი. 10 აგვისტო (რადიო). გირ. სტერლინგი—3406. დოლარი—779. ჰოლანდიური გულდენი—30262.

პარიზის ბირჟა.

პარიზი. 11 აგვისტო (რადიო). დახურდავება 10 აგვისტოსათვის. ლონდონი—55,9350, ნიუ-იორკი—12,5350. გერმანია—1,475. ბელგია—94,90. ისპანია—193,75. იტალია—56,70. ჰოლანდია—485. შვეიცარია—238,50. ნაციონალური კრედიტი 1919 წ.—484,50. 1920 წ.—485,05. ოტომანიური ბანკი—715, ოტომანური თამბაქო—415.

პროფკავშირებში

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა თათბირი

სხდომის დარბაზში არის 80 დელეგატი სომხეთის, საქართველოს და აზერბეიჯანის. ყველა აქტიური პროფ. მუშაკები, ცალკე კავშირების თამჯდომარეები და პასუხის მგებელი მდივნები და პროფ. ცენტრის წარმომადგენელნი.

საღამოს 6 საათზე სხდომას ხსნის სრულიად რუსეთის პროფ. კავშირთა ცენტ. საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გინზბურგი, რომელიც მოკლე სიტყვაში ახასიათებს თათბირის წინაშე წამოყენებულ კითხვებს.

სხდომის გაძღოლა დაევალა ამიერ-კავკასიის ბიუროს პრეზიდიუმს ამხ. გინზბურგის, ოდილავაძის, შირაკიანის და კონიუბკინის შემადგენლობით.

დღის წესრიგი: 1) რუსეთში პროფ. მუშაობის ჯამი, სრულ. რუს. პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენლის ამხ. ანტიპოვის მოხსენება, 2) ანგარიში სრ. რუს. პროფ. კავშ. ც. საბ. კავ. ბიუროსი და საქართველოს პრ. კავშირთა საბჭოსი. 3) სატარიფო საკითხი, 4) საორგანიზაციო საკითხი, 5) მუშათა კოოპერაცია, 6) სოციალური უზრუნველყოფა და შრომის დაცვა, 7) კულტურული მუშაობა და 8) შრომის სახ. კომისარის მოადგილის ამხ. იაკუბოვის მოხსენება. თათბირის პლენუმი უშუალოდ განიხილავს 1, 2, 5 და 8 საკითხებს. სხვა კითხვები გადაეცემა წინასწარ პრაქტიკულ შემუშავებისათვის სპეციალური კომისებს, რომელშიაც ორი ამხანაგის ხელმძღვანელობით, შედიან განსაზღვრული რიცხვით დელეგატები ადგილებიდან. აღნიშნულ იქნა სხდომის დღეები და რეგლამენტი.

თათბირი ადგენს გაეგზავნოს მისალოცი დეპეშა სრ. რუს. პრ. კავ. ცენტრ. საბჭოს და ამხ. ლენინს, რაც მქუხარე აპლოდისმენტებს იწვევს.

ამხ. ანტიპოვის მოხსენება.

პირველად გამოდის ფართე მოხსენებით რუსეთის პროფ. კავშირების და სრ. რუს. პრ. კავშ. ცენტრ. საბჭოს მოღვაწეობის შესახებ უკანასკნელის წარმომადგენელი ამხ. ანტიპოვი, რომელიც აღნიშნავს ახალ პირობებში წარმოებულ პროფ. მუშაობის ჯამს. მოხსენებელი დიხანს ჩერდება **თავისუფალი წევრობის** საკითხზე.

საორგანიზაციო პრინციპების სფეროში უეჭველად უნდა სჭარბობდეს პრინციპი პროფ-კავშირების მოწყობისა წარმოების მიხედვით, პროფესიის გარეშე. პროფესიონალურ ამქრობისადმი ტენდენცია მავნებელია, სექციები დასაშვებია მხოლოდ წარმოებითი განსხვავების მიხედვით.

არა ნაკლებ მავნებელია პროფ მოძრაობის გაერთანების საკითხისათვის, შენიშნული მისწრაფება ფედერალიზმისა განცალკევებისაკენ.

კავშირთა დისციპლინა უკანასკნელი დროს განმავლობაში ძლიერ შეირყა. ადგილობრივი გადაწყვეტილება ხშირად არ ეთანხმება დებულებებს, შესუსტდა კავშირი.

აქ უნდა ითქვას: დისციპლინის დარღვევისათვის, წევრები გაძევებულ იქნებიან. შეჩერდა რა კავშირთა და საკავშირთაშორისო ორგანოების ურთიერთობაზე, მომხსენებელი გადავიდა სტრუქტურისა და შტატების საკითხზე. უკანასკნელის შესახებ საკითხი დამაკმაყოფილებლად გადაწყდა. შტატები ძლიერ შემოკლებულია, რამაც კარგი გავლენა იქონია მუშაობაზე. ამჟამად საშუალოდ 44 გუბერნიის საგუბ. პროფ. კავშირის 1000 წევრზე მოდის 2 თანამშრომელი.

ყრილობათა რიცხვის შემცირებისათვის მიღებულ იქნა დადგენილება, რათა კავშირების ყრილობები იწვევოდეს ორ ორი წლის თავზე, ხოლო სრულიად რუსეთის ყრილობა—კი ერთი წლის თავზე.

(გაგრძელება იქნება)

[illegible]

ექიმი ვეტერინარი **ბესარიონ პავლეს ძე ჩენგელია** შვილებით კატუშათი და დარეჯანით აცნობებს ნათესავებს და ნაცნობთ გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავს პირველის მეუღლის და უკანასკნელების დედის

ნინო ივანე ქადეიშვილის ასული შენგელია

კვირას, 13 აგვისტოს, დღის 2 საათზე, გარდაცვალებულის საფლავზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება პანაშვიდი. (1—1)

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალი

წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებათ და ადმინისტრაციას წარმოუდგინოს მას მცხოვრების ქ. ტფილისში, პანასევიჩის ქუჩაზე № 11, ბ. 3 მოქ. სერგი სედრაკის ძე ლალოიანი თუ კი იცის სად იმყოფება ის ამ ჟამად. ნიშნები ლალოიანისა: 21 წლის სომეხი, ულვაშეილო.

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილე **ა. ურუშაძე.**

(3—1) პასუხისმგებელი მდივანი **ლ. მანჯავიძე.**

ბრძანება № 121

11 აგვისტო 1922 წ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარისა.

გამოეცხადოს მადლობა ბორჩალოს მაზრის პოლიტბიუროს უფროსს, ამხ. **მჭედლიძეს**, საგამოძიებო განყოფილების გამგეს—ამხ. ერვანდ **მარუტოვს** და უფროს მილიციონერს—რუბენ **მარუტოვს**, რომლებმაც დიდი სიფხიზლე და ენერგია გამოიჩინეს და შეიპყრეს გამტაცებელნი სახაზინო ფულისა, რომელიც ამ წლის 1 აგვისტოს ბორჩალოს მაზრის გადასახადთა განყოფილების გამგეს მიჰქონდა ხაზინაში ჩასაბარებლად ლუქსენბურგის ახალშენიდან ქ. შულავერში. ამხ. **მჭედლიძეს** მიეცეს ჯილდოთ 5.000.000 მან., ერვანდ **მარუტოვს**—4.000.000 მანეთი, ხოლო უფროს მილიციონერს რუბენ **მარუტოვს** —3.00.0000 მანეთი.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე **ბ. ბიბინეიშვილი.**

ქალ. თბილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ სამშაბათს 15 აგვისტოს დღის 12 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შემდეგი სასტუმროებისა:

„პალასი“	მიმოსვლის ქ. №	4.
„ნიკოლოზის ნომრები	ნეკრასოვის „ „	3.
„აპოლო“	ნიკოლოზის „ „	16.
„ბერლინი“	მიმოსვლის „ „	
„ალექსანდროვის ნომრები“	სამხედრო „ „	5.
„პალე-როიალი“	სასახლეს „ „	6.
„დუშეთი“	19 თებერვ. „ „	89.
„თელავი“	ბახკალის „ „	4.
„არარატი“	მალაკანის „ „	14.
„ტეგერანი“	ვორონცოვის „ „	29.
„ოდესა“	ანდრეევის და სადგურის კუთხე.	
„მეჩეთი“	მეჩეთის „ „	2.
„შემახა“	19 თებერვ. „ „	54.
„პარიზი“	თივის მოედანი „	5.
„ადერბეიჯანი“	ვორონცოვის „	24.
„კარაპაზი“	აბანოს „ „	4.
„ირანი“	ვორონცოვის „ „	37.
„ვარსკვლავი“	ვორონცოვის „ „	37.
„შირაზი“	ბნელი რიგი „	24.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში მე 50 ოთახში საიჯარო მაგიდის გამგე **მიხ. დარახველიძესთან.**

3—1

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

აცხადებს, რომ იგი იჯარით სცემს სახელმწიფო ფაბრიკა

„ბავშვთა კვება“-ს

(დიდი მთავრის ქ. № 41).

იჯარით აღების განცხადების შემოტანის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია ამა წ. 15 აგვისტო იჯარის დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალურ საწარმოო განყოფილების საიჯარო სექციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე (პუშკინის ქ. № 3). (2—2)

სახელმწიფო გამომცემლობა.

თანახმად არსებულ დეკრეტისა ყოველგვარი საზოგადო გართობებზე პროცენტების გადახდის შესახებ, ქალაქის სასარგებლოდ, აღმასკომის გადასახადთა ბიურომ დაადგინა. ა. წ. 1 აგვისტოდან ყველა გასართობებს გადაახდევინოს ბილეთების ღირებულებაზე 5 პროც. გადასახადთა ბიუროს სასარგებლოდ.

სახელმწიფო გამომცემლობა თანახმად შეთანხმებისა აღმასკომის საფინანსო განყოფილებასთან (6 | 8 № 149) წინადადებას აძლევს ყველა კლუბებს, თეატრებს, კინოებს, ცირკებს პირებს და დაწესებულებებს, რომელნიც აწყობენ სპექტაკლებს, საღამოებს, კაბარეს და სხვა გასართობებს ბილეთების წიგნაკები წარმოადგინონ რეგისტრაციისათვის სახელმწიფო გამომცემლობაში ლორისმელიქოვის ქ. № 5. ბილეთებზე იქნება დასმული სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭედი ურომლისოთაც ბილეთები ჩაითვლება გაუქმებულად ‍დ დადგენილების დამრღვევნი კი მიცემული იქნებიან სამართალში და დაკარგავენ უფლებას ზემოაღნიშნულ გასართობების მოწყობაზე. ყოველგვარ ცნობების და განმარტების მიღებისათვის უნდა მიმართონ სახელმწ. გამომცემლობის გამგეს. (ლორისმელიქოვის ქ. № 5.)

(5—3)

ნოვოროსცემენტების წარმომადგენლობა

ამით აცნობებს საზოგადოებას, რომ შეკვეთა

ცემენტზე და ეტერნიტზე მთელს საქართველოში

შეიძლება მხოლოდ

ვ. ბ. ანჯაფარიძესთან

მისამართი: ტფილისი, სასამართლოს ქუჩა № 15, ბათუმში სმეკალოვის ქუჩა № 8. ქუთაისი პუშკინის ქუჩა სახლი ანჯაფარიძის.

გაზეთის ტრესტის მთავარ

კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება,

(0—18)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(25—10)

ბინით სარგებლობის კანონი

გამოცემულია ცალკე ბროშიურებათ და ამ დღეებში გაიყიდება ყველა უკანასკნელი, ამ ჟამად მომქმედი დეკრეტები და დადგენილებანი საბინაო საკითხის შესახებ, აგრეთვე დადგენილება

კომუნალურ სამსახურზე.

ქირის შემოღების შესახებ.

ბინით სარგებლობის კანონი გაიყიდება გაზეთის ტრესტის კანტორა-(რუსთაველის პრ. № 24). და ყველა გაზეთის გამყიდველებთა.

თითო ეკზემპლიარი ეღირება 20 ათასი მანეთი.

(0—10)

თბილისის ქალაქის აღმასკომის მიწად-მოქმედების

განყოფილება

უკანასკნელად აცნობებს ყველა სახლის პატრონებს, რომ რეგისტრაციაში გასატარებლად სახლების საანკეტო ფურცლების გაყიდვის ვადა გაგრძელებულია 12 აგვისტომდე, საანკეტო ფურცელი ღირს 100.000 მან. იმ შემთხვევაში თუ სახლის პატრონი არ გამოცხადდა რეგისტრაციაზე

12 აგვისტომდე.

საანკეტო ფურცლის ფასი გადიდებული იქნება 500.000 მანეთამდე.

(7—5)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. კომუნისტურ ახალგაზრდობის ფურცელი №44

ორგანო საქართველოს ახალ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა.

სამაზრო კონფერენციები

კავშირის მე 2 ყრილობის მოწვევის ორი თვის შემდეგ გვიხდება სამაზრო კონფერენციების მოწვევა. ეს ერთის მხრით არ არის ვითომდა მიზანშეწონილი, რადგან კავშირის უმაღლესი ორგანოს მიერ გამომუშავებული დირექტივების გატარება ცხოვრებაში სულ ორიოდე თვეა დაიწყო. ჯერ არც კავშირის ხელმძღვანელთ და არც ადგილობრივ ორგანოებს ამ მხრივ მაინც და მაინც საგულისხმო რომ არ გაუკეთებიათ, ვინაიდან ორი თვე ეს სულ უმნიშვნელო დროა, ისიც საზაფხულო მუშაობის პერიოდში, როდესაც ორგანიზაცია რამოდენიმეთ უკუდგება. ძნელი ხდება კრების და ხშირი მეცადინეობის წარმოება, სოფლის ახალგაზრდობის მუშაობაში ჩაბმის გამო. მიუხედავათ ამისა, სამაზრო კონფერენციების მოწვევა ამ მომენტში აუცილებელია, მით უმეტეს, რომ მომზადებული უნდა დავხვდეთ ა. კ. კ. ამიერ კავკასიის ყრილობას, რომელიც სექტემბრის პირველ რიცხვებში იქნება მოწვეული.

რა მიმართულებით იწარმოებს სამაზრო კონფერენციებზე მუშაობა?—ეს იქნება ორი თვის გამოცდილების აღნიშვნა კავშირის ახალ ორგანიზაციულ აღმშენებლობის პერიოდში გადასასვლელად და ამისდა მიხედვით იმ საშუალებათა გამომუშავება, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ მაზრაში კავშირის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის მოსაწყობათ. ფაქტია, რომ ყოფილ რაიკომების გაუქმებამ სოფლებში ზოგი გაუგებრობა გამოიწვია კავშირის პასუხისმგებელ ამხანაგებშიაც. პროვინციის მუშაკთ არ აქვთ კარგად გარკვეული მნიშვნელობა ახალი ორგანიზაციული ცვლილების და იმ შედეგების, რომლებიც უნდა მოყვეს მას.

რაიონული კომიტეტების გაუქმება და თემკომების ორგანიზაცია, ეს დიდი ცვლილება იყო კავშირისათვის, ამიტომ კიდევ კარგა ხანი დაგვჭირდება, რათა კავშირის აღმშენებლობის ახალ პირობებს შევეჩვიოთ რაიონის მუშაკნი. ბევრ ადგილას პარტიასა და კავშირს შორის დამოკიდებულება ჯერ კიდევ ძველ მდგომარეობაშია და ფეხს ნაბიჯით მიიწევს წინ. მაგრამ სამაზრო კონფერენციაზე შეიძლება ამ კითხვას სერიოზული განმარტება, რითაც გავარკვევთ გაუგებრობას სადაც კი აქვს ამას ადგილი. მითითებით პარტიის და კავშირის ორგანიზაციებს, კავშირის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაზე, განსაკუთრებით პარტიის მხრივ კავშირისადმი დახმარებაზე და იმ მორიგ ამოცანებზე, რომელიც ძევს პარტიის წინაშე კავშირის მიმართ. კავშირის მეორე ყრილობის დადგენილებანი ყველას არ აქვს კარგად შეთვისებული. ამ უკანასკნელ ხანებში ეტყობა კავშირის დიდი რიცხობრივი ზრდა, ახალ და ახალ იაჩეიკების დაარსება, რაიც ყრილობის, როგორც უმაღლესი ორგანოს, გადაწყვეტილების თანახმად დაუშვებელია. ზედმეტი რიცხობრივი გადიდება კავშირს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს. მსგავსათ რ. კ. პ. მე XI ყრილობისა, ჩვენი კავშირის ყრილობამაც იცნო საჭიროთ კავშირის კარების დახურვა ერთი წლით, მხოლოდ კერძო შემთხვევაში არ ვრცელდება ის მუშათა ახალგაზრდობაზე, ღარიბ გლეხობაზე და ისიც ძლიერ განსაზღვრული რაოდენობით.

ამ ფაქტის და კიდევ მრავალ წმინდა ორგანიზაციული ხასიათის კითხვების გაშუქება მოგვიხდება სამაზრო კონფერენციაზე, რითაც გარკვეულ ხაზს მივცემთ ადგილობრივ ორგანიზაციებს შემდეგისათვის. არა ნაკლებ ადგილს დაიჭერს კონფერენციებზე კავშირში წარმოებული სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა. როდესაც ჩვენ მოვითხოვთ, უარი ვსთქვათ კავშირის რიცხობრივი გადიდებაზე—ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს არ არის საჭირო კიდევ ახალი რიგების შემატება, არამედ რაც გვყავს მას მივაქციოთ ღირსეული ყურადღება, გავაუმჯობესოთ ის ღირსებით, ავსწიოთ ის კულტურულ და პოლიტიკურ ცოდნის უსაჭიროეს საფეხურამდი. არ უნდა დარჩეს არც ერთი, რომელიც კი უწოდებს თავის თავს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრს, რომ მან არ იცოდეს წერა-კითხვა, და რაც მთავარია, რომ მან არ იცოდეს კომუნისტური განათლების მინიმუმი. **სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა, ყოველმხრივი განვითარება განათლებულ მარქსისტის გახდომის ტენდენციის მეტი გაღვივება, მეტი თვითმოქმედება ამ საქმეში**—აი უპირველესი ლოზუნგი კომუნისტური კავშირის ყოველი წევრისა. ეხლა უნდა მიექცეს ამას ყველაზე მეტი ყურადღება, ის მკაფიოდ უნდა ითქვას ჩვენს სამაზრო კონფერენციებზე და პრაქტიკული განხორციელების ზომებიც გამომუშავდეს. ერთი სიტყვით, სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა განსაკუთრებული მნიშვნელობით უნდა დავსვათ და კავშირის მასსას დავხატოთ მისი მნიშვნელობა. სამრეწველო და ნახევარ სამრეწველო მაზრებში კონფერენციის ყურადღება უნდა შევაჩეროთ მუშათა ახალგაზრდობის შრომის, მდგომარეობის და განათლების კითხვაზე. ყველასათვის ფაქტია, თუ როგორი უარყოფითი გავლენა იქონია მუშათა ახალგაზრდობაზე, ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო შტატების შემცირებამ. მუშათა ახალგაზრდობის უმუშევრებათ დატოვება ეს სიმშილის აჩრდილის წინ დაყენებაა მისი და მეორე მხრივ დიდი დანაშაულია ჩვენი ნორჩ მრეწველობის მომავლის მიმართ. ისედაც მცირე რიცხოვან პროცენტს მუშათა ახალგაზრდობისას საქართველოს წარმოებაში აუცილებლათ ესაჭიროება შენახვა. ადგილობრივ პროფბიუროებთან უნდა დამყარდეს კონტაქტი და მუშათა ახალგაზრდობის შრომის პირობების დაცვის, მდგომარეობის და განათლების კითხვაზე ღირსეული პასუხი უნდა მივსცეთ. შეუძლებელია აქ ყველა იმ კითხვების მოხსენება, რომლებიც კი გაირჩევა ჩვენს სამაზრო კონფერენციებზე, მხოლოდ კიდევ ვიტყვით, რომ, მათ დიდი მნიშვნელობა აქვს და საქმიანი ხასიათი უნდა მიეცეს.

კომპარტიის ზრდა და კომკავშირი

რ. კ. პ. 11 ყრილობის მუშაობის ერთ მნიშვნელოვან საგანს შეადგენდა კომპარტიის შემდეგი ზრდის და განვითარების კითხვა. ამხ. ზინოვიევმა მეტად შინაარსიანი და სახელმძღვანელო მოხსენება გააკეთა ამ თემაზე. კომპარტია არის მისი თქმით ალფა და ომეგა პროლეტარულ სახელმწიფოსი, ის მისი [illegible], უშუალო ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი. ის ლამპარია, რომელიც უნდა უნათებდეს გზას იმ მასსებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საბჭოთა სახელმწიფოს არსებობით, მისი განვითარებით და კეთილდღეობით. კომპარტია სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საერთო მიმართულების გამომმუშავებელია და სახელმწიფოებრივი ვითარების რეგულატორი. „ჩვენ უნდა შევძლოთ რათა კომუნისტები ერთ ადგილად გამოვყოთ დანარჩენ მასსიდან. ავამაღლოთ ისინი სხვებთან შედარებით, რომ როგორც წინეთ ისე ეხლა მასსა ამჩნევდეს, რომ კომუნისტი—ეს ყველაზე განათლებული, ყველაზე შორს მჭვრეტელი ადამიანია. ამიტომ წამოიჭრა ჩვენს წინაშე პარტიის არა რიცხობრივი გამრავლების საკითხი, არამედ მთელი ძალღონით მისი ღირსებითი ამაღლების, გაუმჯობესების. მართლაც სამოქალაქო ომის დროს, როდესაც პარტია რთულ ატმოსფერაში მყოფი გართული იყო მხოლოდ მით, რათა რესპუბლიკა დაცემას გადაერჩინა, რათა რესპუბლიკისთვის ყუდროება მოეპოვებია, მისი მშვიდობიანობის დამრღვევნი დაესაჯა, როდესაც ყოველივე დღიურ ჭირ-ვარამს არ სცალდებოდა. მაშინ ძნელი იყო შორეულ მომავალზე ფიქრი, მომავალის ინტერესებით პარტიის მდგომარეობის ძირითადი შესწავლა და ყველა სუსტ მხარეების ლიკვიდაცია. პარტიის ღირსებითი ამაღლება—ეს დიდი მნიშვნელოვანი კითხვაა, რომელიც მშვიდობიანობის პერიოდში შეიძლებოდა მხოლოდ წარმოჭრილი იყო და რომელიც კარგ ხანს და ენერგიას ითხოვდა. ამ მიმართულებით სწარმოებს მუშაობა, რომლის გაუმჯობესებაზე იქნება დამოკიდებული თვით ამ მძიმე ამოცანის შესრულება. „ჩვენ ვძლიერით წინადადებას—ლაპარაკობს ამხ. ზინოვიევი, „რათა დავხუროთ პარტიის კარები ერთი წლით, ვინაიდან ამ წელში ჩვენ გვმართებს ყურადღების მიქცევა **ახალგ. კომკავშირისადმი, რადგან მხოლოდ ახალგაზრდობისაგან უნდა შევივსოთ ახალი კადრები**, ამისათვის კი ახალგაზრდათა შორის მუშაობას უნდა მიექცეს უაღრესი ყურადღება, ვინემ ეს აქამდის იყო, უნდა გავიგოთ, რომ ეს თამაში კი არ არის, **არამედ ძლიერ სერიოზული საქმე**“.

ჩვენ მივეჩვიეთ გვეთქვა, რომ ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი კომპარტიის რეზერვია, ის მისი რიგების შევსება და სხვა. დღის კითხვა ასე სდგას, პარტიის ღირსებითი ამაღლების, მის ღრმა განათლების მიზნით პარტიის კარები (თუ არ მივიღებთ მხედველობაში განსაზღვრულ სტაჟის მუშათა და ღარიბის გლეხთა მცირე პროცენტს) დახურულია. ერთად ერთი წყარო, საიდანაც უნდა მიიღოს პარტიამ ახალი კადრი ეს კომუნისტური კავშირია—რომელიც კომუნისტურ შეგნებით და ცოდნით უნდა იქნეს აღჭურვილი. არის კი დღეს ეს? —რასაკვირველია, არა, ვინაიდან დღემდე კავშირს კიდევ არ მიქცევია ღირსეული ყურადღება, ის კიდევ არ გამხდარა პარტიისათვის ძლიერ სერიოზულ საქმედ. ეს კი დიდი დანაშაულია კომპარტიის წინაშე კერძოდ საქართველოში პარტიულ ორგანიზაციებს ყველგან არ შეუგნია თავისი ვალდებულებანი კავშირის მიმართ, ჯერ კიდევ არ აქვთ შეგნებული, რომ რეზერვიდან მხოლოდ მაშინ მივიღებთ ყოველმხრივ ღირსებით აღჭურვილ ახალგაზრდებს, როდესაც თვით რეზერვში კომუნისტური აღზრდა და განათლების საქმე სათანადო სიმაღლეზე იქნება დამდგარი. საჭიროა რათა კავშირის ძველ გვარდიას მიექცეს ყველაზე მეტი ყურადღება, რადგან ყველაზე ადრე მათ აღვზრდით და მოვამზადებთ პარტიის შესავსებ კადრების შესადგენად.

არასოდეს კომუნისტურ ახალგაზრდობის მუშაობის წარმოებას ისეთი საჭირო ყურადღება არ მიქცევია პარტიისგან, როგორც ეს რ. კ. პ. მე-11 ყრილობაზე იყო და რომლის მიხედვით ს. კ. პ. 1 პარტკონფერენციამაც შესაფერი დადგენილებანი გამოიტანა.

დადგენილებებს ფასი მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც ისინი ხორცს ისხამენ და სინამდვილეთ იქცევიან. ნაწილობრივ ამას აქვს ჩვენს ქვეყანაში ადგილი და ნაწილობრივ კი არა. მაგ. შორაპნის მაზრის სხვა და სხვა კუთხეებიდან მოგვდის არა სასიამოვნო ცნობები კავშირის ორგანიზაციებისაგან, რომ პარტიულ კომიტეტებს და პარტიის იაჩეიკებს არ აქვთ შეგნებული კავშირისათვის ყურადღების მიქცევის აუცილებლობა, ხოლ ხშირია შემთხვევა ანორმალური მდგომარეობის, რაც უარყოფით ბეჭედს ასვამს კავშირს და სხვა რისთვის არის ეს ასე? აუცილებლად იმიტომ, რომ მაზრის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს ჯერ შეუსისხლხორცებია რ. კ. პარტიის მე-11 ყრილობის და ს. კ. პ. 1 პარტკონფერენციის დადგენილებანი. ყველა მაზრის პარტიული ორგანიზაცია პირიქით თვითვე უნდა იყოს დაინტერესებული, რათა კავშირი ორგანიზაციულად და პოლიტიკურად ამაღლოს და ამით ის დიდათ სასარგებლო მუშაობას უწევს პარტიისთვისაც, რადგან დღეს თუ ხვალ კავშირი მთელ რიგებს მისცემს პარტიას. ამგვარად დროა შევწყვიტოთ პარტიის რიცხობრივი გამრავლება, მხოლოდ ვცნოთ საჭიროდ მისი ღირსებით გაუმჯობესება. პარტიის შემდეგი ზრდა კავშირის ხარჯზე და თავის მხრივ კავშირის კიდევ მეტი აღზრდა და პოლიტიკური ორგანიზაციული წინ წაწევა—აი მორიგი ამოცანები პარტიულ აღმშენებლობის და საჭიროა მისთვის ანგარიშის გაწევა, საჭიროა მისი დაუყოვნებლივ ამოცანად აღიარება, კავშირის აღმშენებლობის დეტალების განხილვა, ყოველ მხრივი შესწავლა და მათი უცილებელი შესრულება.

დავ გონი.

ცოტა რამ ახალგაზრდათა საერთაშორისო მდგომარეობაზე

იმპერიალისტურმა ომმა გამოიწვია დაქსაქსვა რევოლუციონური ძალების. ოპორტუნიზმის განვითარებამ მუშათა ოფიციალურ პარტიებში, თავისი დაღი დაასვა ახალგაზრდათა სოციალურ მოძრაობასაც. მიუხედავათ იმისა, რომ მუშათა ახალგაზრდობა მდიდარია რევოლუციონური აზროვნებით, რის გამო ის უფრო გაბედულად იბმის სოციალისტურ მოძრაობაში,—ერთი მისი ნაწილი მაინც აღმოჩნდა შეპყრობილი ოპორტუნიზმის გავლენით. მან კი გამოიწვია მუშათა ახალგაზრდობის მთლიანი რევოლუციონური ფრონტის დარღვევა. მაგრამ ახალგაზრდათა მოძრაობის მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ ამ მოძრაობის ყველაზე უფრო საღი ნაწილი, ურყევად შერჩა რევოლუციონურ თეორიის და პრაქტიკას.

ამის დასამტკიცებლად საკმარისია აღნიშნულ იქნეს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდათა სოციალისტურ ორგანიზაციების საერთაშორისო გაერთიანება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ქ. შტუტგარდში 1907 წ., თითქმის თავისი ყველა სექციებით მიემხრო მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს, რაც გამოიხატა თვით ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის დაარსებით 1919 წელს მხოლოდ ახალგაზრდათა რამოდენიმე ორგანიზაცია არ მიემხრო ახალ კომუნისტურ ინტერნაციონალს. უმთავრესად ესენი ის ორგანიზაციებია, რომლებიც თავიდანვე მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების იმპერიალისტურ პოლიტიკას, თავიანთ პარტიების საშუალებით. მაგალითად, ახალგაზრდათა 2 ნახ. ინტერნაციონალის დაარსების ინიციატორმა, ავსტრიის „ცენტრის“ ახალგაზრდათა სოციალისტურმა ორგანიზაციამ, უარი განაცხადა, ინტერნაციონალის სამდივნოს წინადადებაზედ, მონაწილეობა მიეღო ბერნის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე 1915 წ. ამიტომ ყველა ის ორგანიზაციები, რომლებმაც დაარსეს 2 ნ. ნ. და „მუშათა ახალგაზრდობის“ ინტერნაციონალი, ანტიკომუნისტური არიან თავიანთი აშკარა ბურჟუაზიული ტენდენციით.

მუშათა ახალგაზრდობის რევოლუციონური მოძრაობის პირველ მომენტიდანვე, ბურჟუაზია გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა მოძრაობის განვითარებას. ბრძოლის სხვა ხერხთან და საშუალებასთან, კაპიტალისტთა კლასი ცდილობს, ახალგაზრდათა სოციალისტურ ორგანიზაციებს დაუპირდაპიროს ბურჟუაზიული ახალგაზრდობის ორგანიზაციები.

ამ უკანასკნელ ტიპის ორგანიზაციებით მდიდარი იყო და არის დღესაც მრავალი სახელმწიფოები. **ეჭვს გარეშეა, ბურჟუაზიული სახელმწიფო დიდათ შეუწყობს ხელს, ახალგაზრდობის არა რევოლუციონურ ორგანიზაციის წარმოშობა განვითარებას, მეტადრე დღევანდელ ხანაში. როდესაც ახალგაზრდა მუშათა რევოლუციონური მოძრაობა ვითარდება ევროპის ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის ორგანიზაციულ და იდეურ ხელმძღვანელობის ქვეშ.** ახალგაზრდათა ყვითელი და 2 ნახ. ინტერნაციონალები, ანტი-რევოლუციონური ძალების გამომხატველი არიან, რამდენადაც მხარს უჭერენ და მიჰყვებიან სოციალ-გამცემლობის პარტიებს. **ამ ორგანიზაციების ბურჟუაზიული ტენდენციით აიხსნება ის გარემოება, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მათ, ფართო თავისუფლების მინიჭებით.**

ამ დებულების ნათელსაყოფათ საკმარისი იქნება მოკლეთ გადავცეთ „ახალგაზრდა მუშათა“ და 2 ნახ. ინტერნაციონალების წარმოშობის, მათი პროგრამის და შემადგენელ ორგანიზაციების მოღვაწეობის ამა თუ იმ სახელმწიფოში.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების ერთი წლის შემდეგ, გერმანიის, შვეიცის და დანიის ახალგაზრდათა სოციალ-პატრიოტულ ორგანიზაციებმა პირველად გადასდგეს პრაქტიკული ნაბიჯი ინტერნაციონალის დაარსების მიზნით, ის გამოიხატა ამ ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირის მოწვევაში 3 აგვისტოს 1920 წელს, რომელსაც უნდა გადეწყვიტა საკითხი, თუ რამდენათ შესაძლებელი იქნებოდა ინტერნაციონალის დაარსება. შემდეგი კონფერენცია მოწვეული იქნა 1921 წ. იანვარში, ქ. ჰამბურგში, რომელსაც დაესწრნენ კიდევ საფრანგეთის და ბელგიის „ახალგაზრდათა გვარდიის“ წარმომადგენლები. აქ მიღებული იქნა ინტერნაციონალის წესდება და საერთო დებულებები, აგრეთვე გადაწყდა „**მუშათა ახალგაზრდობის ინტერნაციონალის**“ პირველი კონგრესის მოწვევა 12 მაისს ქ. ამსტერდამში, ყვითელ პროფკავშირთა ინტერნაციონალის რეზიდენციაში. აქ არჩეული იქნა ბიურო, რომლის თავმჯდომარეთ დაინიშნა **პ. ფოქდი**, ჰოლანდიის ახალგაზრდათა სოციალ-პატრიოტულ ორგანიზაციის ბელადი.

ახალგაზრდათა ყვითელ ინტერნაციონალს, ძლიერი სექცია ჰყავს, გერმანიის სოციალ-პატრიოტულ ორგანიზაციის სახით, რომელიც აერთიანებს 80.000 წევრს. ინტერნაციონალის ხელმძღვანელობის ჰეგემონია მას ეკუთვნის. ამიტომ ცხადია, რომ თვით ამ ორგანიზაციის პროგრამისა და მოღვაწეობის განხილვა საშუალებას მოგვცემს გავიგოთ ახალგაზრდათა ყვითელ ინტერნაციონალის ვინაობა.

გერმანიის **„ახალგაზრდათა მუშათა“** ორგანიზაცია, იმპერიალისტურ ომის დროს მოქმედებდა, როგორც შეიდემანელების პარტია. ის ყოველმხრივ ხელს უწყობდა ომის წარმოებას. ეწეოდნენ ცხოველ აგიტაციას ომის სასარგებლოდ. ამ ორგანიზაციის რამოდენიმე წევრი, მსხვერპლად შეეწირა ომის ღმერთს, დარწმუნებული თავიანთ ხელმძღვანელებისაგან, რომ მათი მოვალეობაა დაიცვან ბურჟუაზიული სამშობლო. **სასტიკად სდევნიდნენ ორგანიზაციიდან იმ წევრებს, რომლებიც გამოერკვნენ და იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ გაილაშქრეს.**

მეორე მხრივ, ამ ორგანიზაციის ბურჟუაზიულ სულისკვეთების დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდათა მოძრაობას მათი ხელმძღვანელები უყურებენ, არა როგორც კლასიურ ბრძოლას, რომლის მიზანია რევოლუციონური ბრძოლის წარმოება, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნა სოციალისტურად,—არამედ მათი შეხედულობით, ორგანიზაციის მიზანია **„ახალი ადამიანების“** აღზრდა სოციალისტურ საზოგადოებისათვის, მხოლოდ არც ერთი სიტყვა იმის შესახებ, თუ რა როლი უნდა ითამაშოს სოციალისტურმა ახალგაზრდობამ, პროლეტარულ რევოლუციის საბოლოოდ გამარჯვებისათვის. ეს ორგანიზაცია არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის მოწყობაში, როდესაც გერმანიის ახალგაზრდა მუშები „სპარტაკის“ და შემდეგ კომუნისტური კავშირის ხელმძღვანელობით, ყოველწლობით 1915 წლიდან მართავდენ რევოლუციონურ დემონსტრაციებს, მოითხოვდენ იმპერიალ. ომის შეწყვეტას, რის გამო არა ერთხელ და ორხელ სისხლი დაუღვრიათ ქუჩებზედ, ბურჟუაზიულ მთავრობის და იმ სოციალ გამცემლების პარტიისაგან, რომელთაც მოჰყვება ახალგაზრდათა ყვითელი ინტერნაციონალის მებაირაღეზე, გერმანიის „ახალგაზრდა მუშათა“ ორგანიზაცია.

პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობის სფეროში, ხელმძღვანელობენ ბურჟუაზიული სწავლის მეთოდებით. მათი დევიზია **„კაცობრიობის აღზრდა სოციალიზმისათვის“**, უარსყოფენ მარქსიზმის ელემენტარულ საფუძვლებსაც კი ბურჟუაზიული საზოგადოების, რევოლუციონური გზით გარდაქმნის შესახებ.

ქ. გორდელაძე.

(გაგრძელება იქნება).

პროფკავშირის პოლიტიკური როლი

ოპტიმიზმის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ განუზომლად იზრდება საქართველოში როგორც პარტიული ისე უპარტიო მასსის თვალებში კომკავშირის მნიშვნელობა. 1917 წელს პროლეტარულ უბანში დათესილი თესლი უნაყოფოთ არ დარჩა. ოთხ ნახევარი წლის დაუღალავი მუშაობის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია მიღებული ნაყოფი მოვმკათ. ამის ილუსტრაცია ჩვენი მეორე ყრილობა იყო და ყოველ დღიურ პრაქტიკული საქმიანობა არის, რომელიც დღითი დღე იზრდება და სათანადო ნაყოფს იძლევა. დიახ, დიდებულ რევოლუციონერების სიტყვები სრული უფლებით შეგვიძლია გავიმეოროთ.. „ჩვენ ვიზრდებით ამხანაგებო! ნუ თუ ვერ ხედავთ, როგორ საათობით წუთებით ვიზრდებით,“ ორგანიზაციის მასიური სახე საგრძნობლად აფართოვებს ჩვენ მიზნებს, ჩვენ ამოცანებს. ამ შემთხვევაში ერთი გარემოების აღნიშვნა მინდა. სამოქალაქო ომის შეწყვეტამ და ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ჩვენ ერთი რამ არა კარგი მოგვიტანა. ყოველ დღიური პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ხშირად დაწვრილმანების სახეს ღებულობს, ადუნებს ახალგაზრდობის ენერგიას, მის რევოლუციონურ ცეცხლს. პარტიის ძველ გვარდიას რევოლუციონური ბრძოლის ტრადიცია აქვს. სიყრმიდან დაწყებული გაჭაღარავებამდე ისინი შეუსვენებლად ბრძოლას აწარმოებდენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ და შემდეგ მემარჯვენე ფრთის სოციალისტებთან. ამ ბრძოლაში მათ გაკაჟების, თავდავიწყების და შეურიგებელი მებრძოლის სტაჟი. შეიძინეს.

ჩვენ, ახალგაზრდობის ახალ გვარდიას გვხვდება მუშაობა უკვე მოპოვებულის დასაცავად და უკვე დამყარებულ საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე ყოფნა. ახალგაზრდათა კავშირმა მენშევიკურ მთავრობასთან ბრძოლაში შესამჩნევი როლი ითამაშა. რევოლუციის საკურთხეველზე ჩვენც გავიღეთ მსხვერპლი და ამის არ დანახვა არ შეიძლება, მაგრამ საკმარისი რევოლუციონური ბრძოლის ისტორია მაინც არ გვაქვს, არსებული მშვიდობიანი პირობები კი აქტიურ რევოლუციონური ბრძოლისათვის ნიადაგს არ გვაძლევს. ამიტომ აქ მოსაყვანია ბებელის შემდეგი სიტყვები, რომელსაც დიდი ბელადი გერმანიის მუშათა კლასისა მწუხარებით ამბობდა: „ჩემი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ერთი წუთით არ მცხოვრია რევოლუციონურ ატმოსფერაში.“ როგორი სახე უნდა მიიღოს ამ პირობებში კავშირმა? მართალია ჩვენი მუშაობის ობიექტი ახალგაზრდობა არის მაგრამ „ნარკომპროსის“ ფუნქციებს ჩვენ ვერ მივიღებთ და არც არის საჭირო ჩვენი კავშირი სრულიად პოლიტიკურ ორგანიზაციათ უნდა გავხადოთ, ჩვენი პარტიის ყოველ დღიური პრაქტიკულ პოლიტიკაში უნდა ჩავაბათ. ახალგაზრდობამ ორგანიზაცია უნდა ვაზიაროთ რევოლუციონურ ბრძოლის ისტორიას, არსებულ ხელისუფლების დაცვის იდეას და პარტიის პოლიტიკას, რომელიც საუკეთესო საშუალების მომცემია დღევანდელ რთულ მდგომარეობიდან გამარჯვებით გამოსვლისათვის. ასეთი როლი ქონდა კავშირს წარსულში. ამ ნიადაგზე აწარმოებდა ბრძოლას, რადგანაც იცოდა, რომ მხოლოდ იმათ იციან თავისუფლების მნიშვნელობა, ვინც მზათ არის მისთვის თავი დასდოს. ჩვენი მოვალეობაა კიდევ უფრო გავაძლიეროთ ეს ბრძოლა. გავაღვივოთ ნაპერწკალი და ახალგაზრდა გულში დავანთოთ რევოლუციონური ცეცხლი. კავშირის პოლიტიკური როლის წამოყენება წინა რიგში უნდა შეადგენდეს ჩვენი მოქმედების მიზანს. მუშაობა ამ მიმართულებით უნდა ვაწარმოოთ.

ვ. გოგიშვილი.

არმიას გავაჯანსაღებთ

ოთხი წლის ბრძოლის ისტორიის ფურცელმა წითელი ასოებით აღბეჭდა ის საგმირო გამარჯვება, რომელიც მოიპოვა სახელოვანმა წითელმა არმიამ. მუშათა და გლეხთა შეიარაღებულმა ძალამ, შეგნებულმა სამხედრო გაერთიანებამ სძლია ყოველ გვარ კონტრ რევოლუციონურ შემოსევებს, ბნელეთის ყველა მოციქულნი დაამარცხა. წითელი არმია ერთ ერთი სათუთი საგანია პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის, რადგან ის არის მისი იმედი, დასაყრდნობი იმ მტრულ გარე მოცვაში, რომელსაც განიცდის დღესაც საბჭოთა რესპუბლიკა. თუმცა დღეს აღარ არსებობენ ფრონტები, აღარ ისმის ზარბაზნის გრიალი, არ იღვრება მშრომელთა სისხლი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის არ განმეორდება შემდეგში.

გენუის და ჰააგის ყრილობები სწორეთ ამისაკენ ისწრაფიან. სწორეთ ეს შეადგენს მათ გულის ფანცქალს, რათა ერთხელ კიდევ გამოსცადონ თავიანთი უბედობა, ერთხელ კიდევ დაარღვიონ საბჭოთა რესპუბლიკის მყუდროება. ვისით იყო და არის დღეს გამაგრებული წითელი არმია?

უმთავრესად და თითქმის ახალგაზრდობით მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა აი ვინ შეადგენს წითელ არმიას. ვინ წვრთნიდა და წვრთნის წითელ არმიას. მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირიდან გამოსული წითელი კომანდირი, კომუნისტურ კავშირს შეაქვს თავის წვლილი როგორც სამეურნეო ისე სამხედრო ფრონტზე, ის იღებს მონაწილეობას როგორც რესპუბლიკის აღმშენებლობაში, ისე მის დაცვაში.

დღეს „წითელი კომანდირთა“ კომპანია სწარმოებს ჩვენს პროვინციებში. ახალგ. კომკავშირს მოუწოდებენ რათა მან შეავსოს წითელი საკომანდო სკოლები, წითელი კურსები.

ამას კავშირის წევრნი და მთლიანად კომუნისტური კავშირი უნდა გამოეხმაურონ და სახელოვანად შეასრულოს წითელ კურსების პროგრამა.

მაშ ახალგაზრდათა კომკავშირის წევრნი, ერთხელ და სამუდამოთ დაუმტკიცოთ მტერს, რომ ჩვენ ის საიმედო ახალგაზრდული ძალა ვართ, რომელიც იცავს საბჭოთა რესპუბლიკას ყოველგვარ საფრთხისაგან, რომელიც აჯანსაღებს წითელ არმიას!

გაუმარჯოს წითელ კურსანტს!

გაუმარჯოს რევოლუციონურ ახალგაზრდობას, რომელიც თავდებია საბოლოო გამარჯვებისა!

გაუმარჯოს წითელ არმიის გაჯანსაღებას!

ხ. ორაგველიძე.

სამაზრო კონფერენციები

თან და თან ახლოვდება სამაზრო კონფერენციების მოწვევის დრო, მაგრამ ვიკითხოთ როგორი ორგანიზაციულ მუშაობის მომენტში იკრიბება ჩვენი კონფერენციები? ავიღოთ მაგ. გორის მაზრა.

გორის მაზრის მაშტაბით კომუნისტური კავშირების ორგანიზაციული მუშაობა წინა თვეებში არ ატარებდა იმ მთლიანობის სახეს, რომელიც დღეს გარკვეულად მოსჩანს. კავშირის მეორე ყრილობის მიერ დასახული ახალ რეფორმებს ზემოხსენებულ მაზრის პერიფერიებში საფუძვლები ეყრება და მტკიცდება განწყობილება წევრებს შორის დღითი დღე მაგრდება. ახალი ამოცანები მეორე ყრილობის ჯერ კიდევ არ არის ხორცშესხმული და ნათლათ არ გვაქვს წარმოდგენილი. კავშირი ძლიერ საჭიროებს ყველა დასახულ ზომების დაწვრილებით განმარტებას, რათა ჩვენ შევითვისოთ მთელი სიღრმე კავშირის გამაჯანსაღებელ ამოცანათა. სამაზრო კონფერენცია სწორეთ დროზე იწვევა, მას დიდი იმედებით უნდა შევყურებდეთ. მან დიდი ნაყოფიერი და შინაარსიანი მუშაობა უნდა აწარმოოს.

უნდა გადაავლოს აგრეთვე თვალი კრიტიკულად კავშირის რიგებს და შესაფერად დააფასოს სამაზრო კომიტეტის მოღვაწეობა. მაშ გორის ამხანაგებო! მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება სამაზრო კონფერენციას, ის მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს დანარჩენ მაზრებისათვის. ვემზადოთ კონფერენციისათვის.

გაშალომიძე

ქრონიკა

12 აგვისტოდან დაიწყება ა. კ. კავშირის სამაზრო კონფერენციები, რომლებიც დასრულდება აგვისტოში.

კონფერენციის დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა საბჭოთა ფედერაციის. 2. ცეკას ინფორმაციული მოხსენება. 3. სამაზრო კომიტეტის მოხსენება და ინსტრუქტორთა თანამოხსენება. 4. კავშირის ახალი ამოცანები. 5. არჩევნები ა. კ. კ. ამიერ კავკასიის ყრილობის დელეგატების. 6. სამაზრო კომიტეტების არჩევნები.

ნორმა შემდეგია—სამაზრო კონფერენციის დელეგატთა რიცხვი არა უმეტეს 50 და არა უმცირეს 15.

— ახალგაზრდათა კომინტერნის დადგენილებით 3 სექტემბერს დანიშნულია ახალგაზრდათა საერთაშორისო მე 8 დღე.

3 სექტემბერსვე გაიხსნება ტფილისში ახალგ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების ყრილობა.

ჩვენი ფოსტა

ამხ. გაშალომიძეს—თქვენი კორესპონდენცია ძლიერ შესწორებულად უშვებთ.

უცხო სიტყვის აჭრელებით არ შეიძლება დაფასდეს არავითარი წერილი და მით უმეტეს სოფლის კორესპონდენცია, რომელიც გასაგები და მარტივი ენით უნდა იწერებოდეს. რომ შემდეგში კორესპონდენცია უაზრობა არ გამოვიდეს, უერთხილდით „მძიმე“ სიტყვებს და სწერეთ იმ ენაზე, რომელიც გასაგებია იმ მასსისთვის, რომელშიაც თქვენ იმყოფებით. გამოგზავნეთ ხშირათ წერილები კომუნისტური კავშირის ყოველდღიური ცხოვრებიდან.

ამხ. გან—კონს—„ფურცლის“ რედაქცია გნიშნავს პასუხისმგებელ კორესპონდენტად თქვენს რაიონში.

ამხ. მდივნიშვილს. მოგვაწოდეთ ცნობები ტყიბულის მუშათა ახალგაზრდობის ცხოვრებიდან გაზეთ „სპარტაკისათვის“.

ტირაჟი 10.000. ზ-ფ. ს. ფ.

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.